ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელისო ბეჟანიძე

შრომითი მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში

საერთაშორისო ეკონომიკის მოდული

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემა, აქტუალურია იმდენად, რამდენადაც დღესდღეისობით ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი მიგრაციის დონე, მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნიდან, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკური პროცესების წარმართვაში.

ნაშრომის მიზანია განიხილოს ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის სხვა და სხვა ასპექტი; გამოკვეთოს ქვეყნები, რომლებსაც განსაკუთრებით იზიდავს ევროკავშირის შრომითი ბაზარი და გამოარკვიოს ევროკავშირში შრომითი მიგრაციის რეალური მნიშვნელოვნება მსოფლიო შრომით ბაზარზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის საგანია ევროკავშირის ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკის შედეგების კვლევა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიგრანტთა მოზიდვის პროცესებზე. ყურადსაღებია ის რისკებიც, რომლებსაც მნიშვნელოვნად გამოკვეთს ნაშრომი და რომელიც დაკავშირებულია არალეგალურ მიგრაციასა და იმ საფრთხეებთან რომლებსაც იწვევს თავისი შინაარისდან გამომდინარე შრომითი მიგრაცია (საქმე ეხება შრომითი ურთიერთობების დარეგულირებასა და მიგრანტთა უფლებების დაცვას). აქედან გამომდინარე არც არის გასაკვირი, ფაქტი, რომ აშკარად გამოიკვეთა ევროკავშირის სურვილი და მზადყოფნა შრომთი მიგრაციის უკეთესი მართვის განხორციელებისათვის.

ELISO BEZHANIDZE

LABOUR MIGRATION TO THE EUROPEAN UNION

Annotation

The topic of the Master's thesis is relevant as far as nowadays, the level of labor migration in the EU countries and other countries of the world plays an important role in the conduct of economic processes in other countries of the world.

The purpose of the work is to discuss the different aspects of EU migration policies; Expose countries that are particularly attracted by the EU labor market and to find out the real significance of labor migration in the EU on the world labor market.

Based on the above, the subject of the research is the study of the results of the migration policy in the EU countries.

As a result of the research, the main factors that play an important role in the attraction of migrants were revealed. It is also important to note the risks that are significantly outlined in the work and which are related to illegal migration and the threats caused by labor migration based on their content (dealing with the regulation of labor relations and protection of migrant rights). Hence, it is not surprising that the EU's willingness and readiness were outlined for the implementation of better management of labor migration.

სარჩევი

შესავალი 1

1.შრომითი მიგრაციის თავისებურებანი 5

1.1 შრომითი მიგრაციის ისტორია 5

1.2 შრომითი მიგრაციის მნიშვნელოვნება. 8

2.ევროპის მიგრაციული სისტემა 12

2.1 შრომითი მიგრანტების შემოდინების ტენდენციები ევროპის ქვეყნებში. 12

2.2 ახალი კანონმდებლობა და პოლიტიკა მიგრაციის შესახებ. 14

2.3 მაღალკვალიფიციურ მშრომელთათვის დადგენილი სამართლებრივი ნორმები. 16

3. ცალკეული ქვეყნების გამოცდილება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში 19

3.1 გერმანია 19

3.2 იტალია 23

4. ცირკულარული მიგრაციის სქემები ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის 26

4.1 იტალია 26

4.2 ნიდერლანდები. 27

4.3 გერმანია. 28

4.4 პოლონეთი. 29

5.მიგრაცია, როგორც აღმავალი ტენდენცია ევროკავშირში 32

5.1 ევროკავშირი, როგორც მიგრანტთა მიზიდვის ცენტრი. 32

5.2 მიგრაციული ნაკადები 37

5.3 ევროკავშირის შრომის ბაზრის გამოწვევები და პოტენციური გავლენა საერთაშორისო მიგრაციაზე 43

5.4 მიგრაცია და ლტოლვილები: ევროპის საინვესტიციო ბანკის როლი 47

6. შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში 49

6.1 საქართველო 50

6.2 მოლდოვა 53

7. საქართველოდან ევროკავშირში შრომითი მიგრაციის ხასიათი 65

7.1 არალეგალური მიგრაციის პრობლემა 65

7.2 ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ შეთანხმება საქართველოსთან 73

დასკვნა 74

გამოყენებული ლიტერატურა: 75

შესავალი

დღეს მსოფლიოში, გლობალიზაციის პირობებში, მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია მსოფლიო განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. იგი მოქნილს ხდის საერთაშორისო შრომის ბაზარს და აახლოებს შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს ინდუსტრიულ ქვეყნებთან. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია, სულ უფრო და უფრო მზარდ როლს თამაშობს საერთაშორისო მსოფლიო მიგრაციულ ნაკადებში. თანამედროვე პერიოდში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური პროგრესი სულ უფრო დამოკიდებული ხდება მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციულ ტენდენციებზე.

შრომითი მიგრაცია წარმოადგენს ადამიანების გადაადგილებას თავიანთი მშობლიური ქვეყნებიდან უცხო ქვეყნებში დასაქმების მიზნით

რამდენადაც შრომითი მიგრაცია დაკავშირებულია საზღვრის კვეთისა და გადაადგილების საკითხებთან, ის საერთაშორისო ფენომენია. ამდენად, იგი მრავალი კონვენციისა და შეთანხმების მიზეზი და საერთაშორისო რეგულირების საგანია. შრომითი მიგრაცია შრომითი ურთიერთობების რეგულირებისა და დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია, სადაც მოჭარბებული საფრთხეებია წარმოდგენილი. ამიტომაც უდიდესი ძალისხმევაა მიმართული შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვისაკენ. თუმცა, რისკები და ზიანი მაინც ახლავს შრომითი მიგრაციის პროცესს. შრომითი მიგრაციისა და დასაქმების მიზნით გადაადგილების პროცესი დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: მოქალაქეობის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების პოლიტიკის ეფექტურობა, დემოგრაფიული ასპექტები, და სხვა. შრომითი მიგრაცია ორივე მხარისთვის – როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნებისთვის – აქტუალური დღის წესრიგია. წარმგზავნი და მიმღები ქვეყნები შრომითი მიგრაციის მზარდ რიცხვს განიხილავენ როგორც ეროვნული განვითარებისა და დასაქმების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. ერთი მხრივ, წარმოშობის

ქვეყნები შრომითი მიგრაციისგან იღებენ სარგებელს, რადგან ის ამსუბუქებს უმუშევრობის წნეხს, ფულადი გზავნილების საშუალებით აუმჯობესებს ვითარებას, ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ბიზნეს-ქსელების ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალის დეფიციტია, სათანადოდ ორგანიზებული შრომითი მიგრაციის დროს მსუბუქდება მდგომარეობა და უფრო ეფექტური ხდება მობილობა.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ შრომითი მიგრაცია წარმოადგენსშრომიტი მიგრაციისა და გავითარების სნერგიის მასტიმულირებელ ძალას, რომელიც აგრეთვე აძლიერებს შრომითი მიგრაციის უკანონო მიგრაციით ცანაცვლების იურიდიულ საფუძველს. არსებულ მოვლენას აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ხასიათი. აქედან გამომდინარე წარმოიშვება უამრავი კითხვა და პრობლემა რისი დარეგულირებაც სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკით უნდა ხდებოდეს. თუმცა განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი მიგრაციული პოლიტიკა ვერ ახერხებს ისეთი პრობლემის გაკონტროლებას, როგორიცაა არალეგალური მიგრაცია. არალეგალი მიგრანტების როლში ძირითადად სწორედ შრომითი მიგრანტები გვევლინებიან. განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ მწვავე პრობლემას შრომითი მიგრანტები ქმნიან.

გლობალური განვითარების თვალსაზრისით საერთაშორისო შრომით მიგრაციას პოზიტიური წვლილი შეაქვს მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში. შრომითი რესურსების მოძრაობა ქვეყნებიდან, სადაც მათი სიჭარბეა, იმ ქვეყნებში, სადაც მოთხოვნაა დამატებით სამუშაო ძალაზე, ქმნის შრომის მსოფლიო ბაზარს. ამ ბაზრის ფუნქციონირება უზრუნველყოფს მსოფლიო წარმოების განვითარებას და მსოფლიო ერთობლივი პროდუქტის ზრდას.

საერთაშორისო მიგრაციის საშუალებით შრომითი რესურსები აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ წარმოებაში: ისინი პოულობენ სამუშაოს სხვა ქვეყნებში, თუ შრომითი მოწყობის შესაძლებლობები თავიანთ საკუთარ ქვეყანაში შეზღუდულია. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც უცხოელი მუშები ხელს უწყობენ წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას. მაგალითად, პოლონელი შრომითი მიგრანტების გამოყენება

გერმანიაში რურის ქვანახშირის აუზის მაღაროებში მრავალი ათეული წლების მანძილზე უზრუნველყოფდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ქვანახშირით. სპარსეთის ყურის ქვეყნებში მძლავრი ნავთობმოპოვებითი, ნავთობგადამამუშავებელი და ქიმიური მრეწველობის შექმნა, აგრეთვე პორტების, გზების, აეროპორტების, ქალაქების მშენებლობა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა მილიონობით უცხოელი მუშებისა და სპეციალისტების მოზიდვის გარეშე.

მნიშვნელოვანია ის, რომ შრომითი მიგრაციის პროცესში, მუშები ჩამორჩენილი ქვეყნებიდან ეცნობიან წარმოების მსოფლიო კულტურას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, შრომის უფრო რაციონალურ ორგანიზაციას და ა.შ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მიგრანტები ცდილობენ გამოიყენონ ახალი ცოდნა და გამოცდილება. მაგალითად, საკუთარი საწარმოების შექმნისას, ისინი ორიენტაციას აკეთებენ ტექნიკის უფრო თანამედროვე დონეზე, ვიდრე იმაზე, რომელიც ტიპიურია მათი ქვეყნებისათვის. როგორც წესი, ყოფილი მიგრანტები ინარჩუნებენ კავშირებს იმ ქვეყნებთან, სადაც ისინი მუშაობდნენ, იწერენ იქედან მოწყობილობებს, ტექნიკას, სათადარიგო ნაწილებს და ა.შ. ამრიგად, ჩამორჩენილ ქვეყნებში მიმდინარეობს მოდერნიზაციის პროცესის დაჩქარება.

ამის გარდა, ქვეყნებს შორის მიგრაციული კავშირები ხელს უწყობენ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, მათ შორის საქონელბრუნვის ზრდას. ეს წარმოადგენს, კერძოდ, იმიშ შედეგს, რომ შრომითი მიგრანტების ყოფნა რამოდენიმე წლის განმავლობაში იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია სამომხმარებლო საქონლის ბაზარი, აყალიბებს მათში ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ მოხმარების სტერეოტიპს. სამშობლოში დაბრუნებისას ისინი განიცდიან იმავე პროდუქტებზე და ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე მოთხოვნას, რომელსაც ისინი მიეჩვივნენ სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყნებში ყოფნის დროს. სრულებითაც არაა შემთხვევითი, რომ თურქეთი, საიდანაც მრავალრიცხოვანი შრომითი მიგრაციული ნაკადები 1960-იან წლებში შევიდა გერმანიაში, გახდა გერმანული სამომხმარებლო საქონლის (სარეცხი მანქანები, ტელევიზორები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა) ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი. ამას გარდა,

თურქეთში გერმანული ტექნოლოგიების მიხედვით აწარმოებენ საყოფაცხოვრებო ქიმიურ პროდუქციას, კვების პროდუქტებს, ჰიგიენურ საქონელს. მიზეზი კი მარტივია: თურქი შრომითი მიგრანტები, უფრო სწორად, მათი დიასახლისები, რომლებიც მიეჩვივნენ, ვთქვათ, სარეცხი ფხვნილის "ომოს" გამოყენებას გერმანიაში ცხოვრების პერიოდში, სურდათ მიეღოთ იგივე ხარისხისა და იგივე მარკის სარეცხი ფხვნილი თურქეთში დაბრუნების შემდეგ. ასეთ შემთხვევებში ბაზარი არ ტოვებს მოთხოვნილებას დაკმაყოფილების გარეშე, და თურქეთში ჯერ დასაწყისში გამოჩნდა გერმანიიდან იმპორტირებული სარეცხის ფხვნილი, შემდეგ კი დაიწყო მისი წარმოება ადგილზე.

საერთაშორისო მიგრაცია არის აგრეთვე "კულტუროლოგიური" ასპექტის მატარებელი. ადამიანებს სახელმწიფოთაშორისი საზღვრების გადაკვეთისას გადააქვთ თავიანთი კულტურა, ტრადიციები, რელიგია. სწორედ მიგრანტების საშუალებით ბევრმა ევროპელმა გაიგო თავიანთ ქვეყანაში აღმოსავლეთის კულტურისა და ადათ-წესების შესახებ, გაეცნენ ჩინურ და არაბულ სამზარეულოს. დღეს მსოფლიოში მიმდინარე კულტურათა ურთიერთდაახლოებისა და ურთიერგამდიდრების პროცესი – ეს არის თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის შემადგენელი ნაწილი და იგი ბევრად მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის შედეგს წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ ისლამისა (1960-1970წწ.) და ბუდიზმის (1980-1990წწ.) გავრცელება განვითარებულ ქვეყნებში ზუსტად ემთხვევა მიგრაციული ნაკადების მიმართულებებს, თავიდან უპირატესად ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნებიდან და თურქეთიდან, მოგვიანებით კი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებიდან – ინდოეთიდან, ბანგლადეშიდან, ტაილანდიდან და სხვა.

ამრიგად, მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია, მათ შორის სამუშაო ძალის სახელმწიფოთაშორისი მიგრაცია, წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტს. მოსახლეობის მიგრაციისა და მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის ურთიერთგანპირობებულებას გააჩნია იმდენი მრავალეროვანი გამოვლინება, რომ იგი ცალკე თემად განხილვას იმსახურებს.

1.შრომითი მიგრაციის თავისებურებანი

1.1 შრომითი მიგრაციის ისტორია

ფართო გაგებით საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ასოცირდება ადამიანთა ნებისმიერ გადაადგილებასთან სახელმწიფოთაშორისო საზღვრებზე და რომელიც დაკავშირებულია შრომით საქმიანობასთან ახალ ადგილზე. უფრო "ვიწრო" გაგებით საერთაშორისო შრომითი მიგრაციის დასაწყისს უკავშირებენ მსოფლიო შრომის ბაზრის ფორმირებას, რომლის კანონზომიერებების შესაბამისად, ერთი ქვეყნიდან ჭარბი სამუშაო ძალა გადაადგილდება იმ ქვეყნებში, სადაც მოთხოვნაა დამატებით სამუშაო ძალაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ უნდა არსებობდეს ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ძალის გადაადგილების მექანიზმს (კერძოდ, ტრანსპორტის თანამედროვე სახეები). ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მოვლენა დასაბამს იღებს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან.

ხალხის გადაადგილება დედამიწაზე ახალი საცხოვრებელი ადგილების საძებნად ან ხალხებისა და ქვეყნების დაპყრობის მიზნით, წარმოადგენს ხალხთა ისტორიის განუყოფელ ნაწილს. ამ ისტორიის საწყის ეტაპებზე პრევალირებდა მიგრაციის ბუნებრივი (ეკოლოგიური) ფაქტორები, როდესაც ადამიანები იძულებულნი იყვნენ გაქცეოდნენ სტიქიურ უბედურებებს ან წასულიყვნენ მიგრაციაში ახალი საძოვრებისა და ნაყოფიერი მიწების საძიებლად და ა.შ. ხალხთა გადაადგილების სხვა ხასიათის მიზეზი იყო მრავალრიცხოვანი ომები, როდესაც გამარჯვებულები ერეკებოდნენ ტყვეებს დაპყრობილი ტერიტორიებიდან თავიანთ ტერიტორიებზე და მათ მონებად იყენებდნენ. შიმშილი და ეპიდემიები, რომლებიც თან ახლდა შუა საუკუნეების ევროპის ისტორიას, აიძულებდა ხალხს წასულიყვნენ სხვა ადგილებში თავის გადასარჩენად. ადამიანების მიგრაციაში წასვლის მნიშვნელოვანი "მაიძულებელი" ფაქტორი ბევრ რეგიონებში იყო დემოგრაფიულ-ეკონომიკური: მიწების უკმარისობა, შედარებით ჭარბი მოსახლეობა, რაც გამოწვეული იყო სიკვდილიანობის შემცირებით და მოსახლეობის ზრდის ტემპების დაჩქარებით. ბოლოს,

გამოვლინდა მიგრაციის წმინდა ეკონომიკური მოტივები, როდესაც ადამიანები იღებდნენ ნებაყოფილობით გადაწყვეტილებას გადაადგილებულიყვნენ უკეთეს პირობებში. თუმცა ეკონომიკურმა მიგრაციამ მასიური ხასიათი შეიძინა მხოლოდ XX საუკუნეში, როდესაც ინფორმაციის მასობრივმა საშუალებებმა და ტრანსპორტის თანამედროვე სახეობებმა გადააქციეს პლანეტა ერთიან მთლიანობად.

მსოფლიო მიგრაციული პროცესების ისტორია მოწმობს იმას, რომ იძულებით გადასახლებებს თანდათანობით ემატებოდა ნებაყოფილობითი გადასახლებები, რომელთა შორის ეკონომიკური მოტივაცია სულ უფრო დომინირებული ხდებოდა. რომელ ეტაპზე და როგორი ფორმებით გამოჩნდა შრომითი მიგრაცია?

პიტერ სტოკერი თვლის, რომ სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის დასაწყისი დაკავშირებულია XV საუკუნის შუა პერიოდში ევროპელების მიერ წარმოებულ კოლონიალურ დაპყრობებთან და მონებით ვაჭრობასთან. მისი აზრით, ზუსტად მაშინ დაიწყო შრომის საერთაშორისო ბაზარის წარმოშობა: სამუშაო ძალის ნაკლებობის კომპენსაცია ზოგიერთ ქვეყნებში ხდებოდა კოლონიებიდან შემოყვანილი მონებით. მაგალითად, პორტუგალიელმა მეზღვაურებმა აფრიკიდან ევროპაში შემოიყვანეს მონები სამუშაოდ. ხოლო XVI საუკუნის შუა პერიოდიდან ბრიტანული, პორტუგალიური და ფრანგული საზღვაო ხომალდებით დაიწყო რეგულარულად იაფი აფრიკული სამუშაო ძალის შეყვანა ბრაზილიაში, კარიბის აუზის ქვეყნებში და ჩრდილოეთ ამერიკაში პლანტაციებში სამუშაოდ. რამდენიმე ასეული წლების განმავლობაში აფრიკიდან გამოყვანილი იქნა დაახლოებით 15 ათასი ადამიანი. ბევრი მათგანი ვერ ჩავიდა დანიშნულების ადგილას, რადგან მგზავრობა ოკეანის გავლით იყო მეტად მკაცრი. ხოლო მათ ვინც მიაღწიეს ატლანტის ოკეანის დასავლეთ სანაპიროებს, ნახევარი დაიღუპა მუშაობის პირველი ხუთი წლის პერიოდში. მიუხედავად ამისა, ბევრმა მაინც გაუძლო არაადამიანურ პირობებს და მონათმფლობელთა მკაცრ მოპყრობას. ამჟამად 40 მილიონზე მეტი ადამიანი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე კარიბის აუზის ქვეყნებში არის აფრიკელი მონების შთამომავალნი.

უეჭველია, რომ მონებით ვაჭრობა წარმოადგენდა საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების ფორმირების პირობას. თუმცა, თანამედროვე გაგებიდან გამომდინარე, ჰქონდა თუ არა ადგილი შრომით მიგრაციას, ე.ი. საერთაშორისო მიგრაციას თავისი სამუშაო ძალის გაყიდვის მიზნით სხვა ქვეყანაში? მონებით ვაჭრობის ეპოქაში არ არსებობდა საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ისეთი აუცილებელი კრიტერიუმები, როგორიცაა ნებაყოფილობითობა და დაბრუნებადობა, მაშინ როცა არსებობდა ეკონომიკური მოტივაცია, თუმცა არა როგორც მიგრანტის პირადი წამახალისებელი მოტივის სახით, არამედ როგორც მონებით ვაჭრობიდან მიღებული მოგების ფორმით.

XIX საუკუნის დასაწყისიდან აზიაში გამოჩნდა უცხოური სამუშაო ძალის მიზიდვის კონტრაქტული სისტემა. თავისი ფორმალური ნიშნებით საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ეს ფორმა უფრო დიდი ხარისხით, ვიდრე მონების შრომა, შეესაბამება შრომითი მიგრაციის თანამედროვე წარმოდგენას, თუმცა თავისი არსით სამუშაო შრომითი ხელშეკრულებით ხშირად არ განსხვავდებოდა მონობისაგან. კონტრაქტით მომუშავე მუშები ძირითადად იყვნენ ჩინეთიდან და ინდოეთიდან.

ჩინელი მუშები ძირითადად მუშაობდნენ რკინიგზების მშენებლობაზე აშშ-ში. ინდოელი მუშები შეჰყავდათ ბრიტანეთის კოლონიებში კარიბის კუნძულებზე. იაპონელმა მუშებმა აშშ-ში რკინიგზების მშენებლობებზე შეცვალეს ჩინელი მუშები, როდესაც აშშ-ში 1882 წელს აიკრძალა ჩინელი მუშების გამოყენება. იაპონელები ასევე ფართოდ იყვნენ დასაქმებულნი სოფლის მეურნეობაში და შიდა მოსამსახურეებად. რამდენიმე ათეული ათასობით მუშა დაქირავებული იყო შაქრის პლანტაციებში სამუშაოდ ჰავაის კუნძულებზე.

კონტრაქტით დაქირავებული მუშები XIX საუკუნეში შრომობდნენ კაბალურ პირობებში. სხვა ქვეყანაში სამუშაოზე კონტრაქტის დადებით ისინი ფაქტიურად კარგავდნენ პირად თავისუფლებას და მთელ იმ პერიოდში მკაცრი ექსპლუატაციის ობიექტი ხდებოდნენ. ხშირად ისინი დებდნენ კაბალურ კონტრაქტს ძალის გამოყენების ქვეშ. კონტრაქტით მომუშავე მუშების ცხოვრებისა და სამუშაო პირობები არ

ჩამოუარდებოდა მონების დონეს, თუმცა მონობა ოფიციალურად გაუქმებული იქნა XIX საუკუნის შუა პერიოდში. თუ მუშა ავად გახდებოდა, მისი კონტრაქტის ვადა ავტომატურად გრძელდებოდა გაცდენილი სამუშაო დროის მონაკვეთით. მათი შრომის ანაზღაურების დონე ორ-სამჯერ ნაკლები იყო ვიდრე ადგილობრივი მუშებისა (ამიტომ, ბუნებრივია მათზე მოთხოვნა მაღალი იყო). ასეთ პირობებში ბევრი მუშა იღუპებოდა. ხოლო ისინი, ვინც გადარჩნენ, შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ სახლში კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ. ლ. პოტსის მონაცემებით ინდოეთიდან ასი წლის განმავლობაში XVIII საუკუნის ბოლოდან XIXსაუკუნის ბოლომდე 30 მილიონი ადამიანი გავიდა და უკან მხოლოდ დაახლოებით 24 მილიონი დაბრუნდა. ხოლო ისინი ვინც დარჩნენ, დღეს მათი შთამომავალნი არიან ინდუსთა თემები, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კარიბის აუზის ქვეყნებში.

1.2 შრომითი მიგრაციის მნიშვნელოვნება.

გლობალური განვითარების თვალსაზრისით საერთაშორისო შრომით მიგრაციას პოზიტიური წვლილი შეაქვს მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში. შრომითი რესურსების მოძრაობა ქვეყნებიდან, სადაც მათი სიჭარბეა, იმ ქვეყნებში, სადაც მოთხოვნაა დამატებით სამუშაო ძალაზე, ქმნის შრომის მსოფლიო ბაზარს. ამ ბაზრის ფუნქციონირება უზრუნველყოფს მსოფლიო წარმოების განვითარებას და მსოფლიო ერთობლივი პროდუქტის ზრდას.

საერთაშორისო მიგრაციის საშუალებით შრომითი რესურსები აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ წარმოებაში. ისინი პოულობენ სამუშაოს სხვა ქვეყნებში, თუ შრომითი მოწყობის შესაძლებლობები თავიანთ საკუთარ ქვეყანაში შეზღუდულია. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც უცხოელი მუშები ხელს უწყობენ წარმოების მთელ რიგი დარგების განვითარებას. მაგ. პოლონელი შრომითი მიგრანტების გამოყენება გერმანიაში

რურის ქვანახშირის აუზის მაღაროებში მრავალი ათეული წლის მანძილზე უზრუნველყოფდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

მნიშვნელოვანია ის, რომ შრომითი მიგრაციის პროცესში მუშები ჩამორჩენილი ქვეყნებიდან ეცნობიან წარმოების მსოფლიო კულტურას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, შრომის უფრო რაციონალურ ორგანიზაციას და ა.შ. ამის გარდა ქვეყნებს შორის მიგრაციული კავშირები ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, მათ შორის საქონელბრუნვის ზრდას.

საერთშორისო მიგრაციის თვალსაზრისით ქვეყნები შეიძლება დაიყოს, სამუშაო ძალის იმპორტიორ, ექსპორტიორ ქვეყნებად და ქვეყნებად სადაც ერთდროულად ხდება იმპორტიც და ექსპორტის. ძალიან იშვიათია წმინდა ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყანა, განსაკუთრებით ეს ეხება განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც მრავალი მიგრაციული კავშირით არიან დაკავშირებული როგორც ერთმანეთთან ასევე შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებთან. გარდა ამისა დროთა განმავლობაში მიგრაციაში ქვეყნის როლი იცვლება. მაგალითად. პირველ და მეორე მშოფლიო ომის პერიოდში ევროპისათვის დამახასიათებელი იყო იმიგრაცია დღეს კი ევროპა, უფრო კონკრეტულად კი ევროკავშირი მიგრანტთა მოზიდვის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენს. ევროკავშირის ისეთი ქვეყნები როგორიცაა – იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, გერმანია, პორტუგალია, შრომითი რესურსების ექსპორტიორიდან იმპორტიორ ქვეყნებად იქცნენ. ეს მეტყველებს მათ გადასვლას პოსტინდუსტრიულ ეტაპზე, გარდა ამისა ამ ქვეყნებში კლებულობს მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი, რაც გვლენას ახდენს მათი შრომითი რესურსების რაოდენობაზე.

უცხოური სამუშაო ძალის გამოყენება სამუშაო ძალის დეფიციტის ლიკვიდაციის შესაძლებლობას იძლევა, თანაც უცხოელ მუშათა უმეტესობა საქმდება ყველაზე დაბალკვალიფიციურ არაპრესტიჟულ სამუშაოზე, რაც საშუალებას აძლევს ადგილობრივ სამუშაო ძალას გადაადგილდეს უფრო მაღალანაზღაურებად და მაღალკვალიფიციურ სამუშაოზე. განვითარებულ ქვეყნებში ისეთ სამუშაოებზე როგორიცაა შენობებისა და ქუჩების დალაგება-დასუფთავება, ნაგვის გატანა, დამხმარე საგზაო და სამშენებლო

სამუშაოები, შინა მოსამსახურეები, ძირითადად სწორედ შრომითი იმიგრანტები არიან დასაქმებულნი.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მიმღებ ქვეყნებში შრომითი მიგრანტების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა. ნაწილი თვლის რომ მათი სიმრავლე ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებითაა განპირობებული, დანარჩენებს კი მიაჩნიათ, რომ ისინი იკავებენ ადგილობრივი მაცხოვრებლების სამუშაო ადგილებს და იწვევენ უმუშევრობის ზრდას.

მრავალი ქვეყნის დღის წესრიგში დადგა შრომითი მიგრაციის საკითხი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში დაახლოებით 60-65 მუშა მიგრანტი არის გაბნეული. ეს ნაკადი კვლავ გაგრძელდება ორი მიზეზის გამო, რომელსაც ხსნის "Pull-Push" თეორია 1. "Pull" (მოზიდვა) განაპირობებს ინდუსტრიული ქვეყნების შრომითი ბაზარი და დემოგრაფიული მდგომარეობა; 2."Push" (განზიდვა) განაპირობებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში არსებული კრიზისები, უმუშევრობა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნობა, ქვეყნებს შორის დამკვიდრებული ისტორიულ-კულტურული კავშირურთიერთობები. ძირითადად შრომითი მიგრაცია არაკანონიერად, ფარული გზით ხორციელდება. როგორც მიმღები ასევე გამცემი ქვეყნები ცდილობენ რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, რათა შესაძლებელი იყოს მიგრაციის მართვა და ორმხრივი სარგებელი იყოს მიღწეული და კმაყოფილი იყოს როგორც მიგრანტი, ისე სახელმწიფო.

როგორც სახელმწიფო ასევე მიგრანტები ხშირად მიმართავენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს (IOM), რომლის მიზანია გაამარტივოს მიგრაციული პოლიტიკა და მოგებული დარჩეს სახელმწიფოც და საზოგადოებაც.

IOM-ის ფარგლებში შემუშავებულია სხვადასხვა პროგრამები რომელიც ამ მიზანს ემსახურება. მაგ. Facilitating Legal Labour Migration Between Asia and EU. ეს არის რეგიონული პროგრამა, რომლის მიზანია შრომითი მიგრაციის მართვის გაუმჯობესება სამხ. და სამხ-აღ. აზიასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. ამის მისაღწევად საჭიროა ქვეყნებისა და ცალკეული ინსტიტუტების მოქმედება მიგრაციის მართვის შესაძლებლობების გასაფართოებლად და ქვეყნებს შორის კავშირების დამყარება

სხვადასხვა დონეზე. პოტენციური მიგრანტების ინფორმირება ლეგალური სამუშაოს შესაძლებლობის, არსებული პროცედურებისა და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ.

2.ევროპის მიგრაციული სისტემა

2.1 შრომითი მიგრანტების შემოდინების ტენდენციები ევროპის ქვეყნებში.

მიმღები ქვეყნები

1995 წლიდან 2002 წლის მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, შრომითი მიგრანტების მიღების თვალსაზრისით ლიდერობს გერმანია, მას მოყვება ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო და შვეიცარია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მილიონობით, განსხვავევული ეროვნების და ეთნიკური ფონის მქონე, ადამიანი იმიგრირდა გერმანიაში. ისინი ჩამოვიდნენ სხვა და სხვა ქვეყნებიდან, ევროპის ყველა კუთხიდან, იძულებით გადაადგილებული გერმანელების ჩათვლით.

1989 წლიდან, გერმანია კიდევ ერთხელ გახდა მთავარი დანიშნულება ემიგრანტებისთვის. 1989 და 1992 წლებში, ადამიანების საშუალო მოძრაობამ გერმანიაში შეადგინა 1 მილიონი, წლიურად. მიგრანტების უმეტესება გადავიდა პრინციპულად ეკონომიკური მიზეზების გამო და აირჩია ყოფილი დასავლეთ გერმანია დანიშნულების ქვეყნად. დღეს მიგრანტების დონე შემცირდა, მაგრამ მათი წილი ისევ მნიშვნელოვანია გერმანიაში.

ცხრილი 1. შრომითი მიგრანტების შემოდინება ევროპის ქვეყნებში. 1995-2002 (ათასებში).

სამხრეთ ევროპა	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
ავსტრია	15,4	16,3	15,2	15,4	18,3	25,4	27,0	---
ბელგია	2,7	2,2	2,5	7,3	---	---	---	---

დანია	2,2	2,7	3,1	3,2	---	---	---	---
ფინეთი	2,5	2,7	2,9	3,2	3,0	3,6	---	---
საფრანგეთი	13,1	11,5	---	---	---	---	---	---
გერმანია	270,8	262,5	285,3	275,5	304,9	333,8	---	---
ირლანდია	4,3	3,8	4,5	5,7	6,3	18,0	---	---
ლუქსემბურგი	16,5	18,3	18,6	22,0	24,2	27,3	---	---
ნიდერლანდების სამეფო	---	---	---	---	---	27,7	30,2	26,2
პორტუგალია	---	---	---	---	4,1	7,8	---	---
ესპანეთი	100,3	126,4	86,8	85,5	91,6	---	---	---
შვედეთი	---	---	---	2,4	2,4	3,3	3,3	---
შვეიცარია	32,9	29,8	25,4	26,8	31,5	34,0	---	---
გაერთიანებული სამეფო	51,0	50,0	59,0	68,0	61,2	86,5	76,2	99,0

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
ბულგარეთი	0,3	0,3	0,2	0,2	0,2	0,3	0,3	---
ჩეხეთი	---	71,0	61,0	19,9	40,3	40,1	40,1	---
უნგრეთი	18,4	14,5	19,7	22,6	29,2	---	---	---
პოლონეთი	10,5	13,7	17,5	---	17,1	17,8	---	---
რუმინეთი	0,7	0,7	1,0	1,3	1,5	---	---	---
სლოვაკეთი	3,0	3,3	3,2	2,5	2,0	1,8	2,0	---

გამგზავნი ქვეყნები

გამგზავნ ქვენებზე საუბრისას,ბოლო დროინდელი მოვლენებდან გამომდინარე, პირველ რიგში სირიაში არსებული კონფლიქტიდან მიგრირებული მოსახლეობა შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირში მიგრირებული ნაკადების წამყვან ძალად, მაგრამ მიმდინარე ძალადობრივი ქმედებები ავღანეთში და ერაყში, ასევე სიღაიბე კოსოვოში თუ სხვა ქვეყნებში უბიძგებს მოსახლეობას ეძებონ ახალი საცხოვრებელი ადგილები.



2.2 ახალი კანონმდებლობა და პოლიტიკა მიგრაციის შესახებ.

მშრომელთა თავისუფალი გადაადგილება არის ნაწილი ოთხი თავისუფლებისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ევროპის თანამეგობრობა 1957წ. მართალია ევროპის სასამართლო ამ უფლებების უფრო ფართო ინტერპრეტირებას ახდენს, ისინი თავდაპირველად ევროპის თანამეგობრობის მოქალაქეებზე იყო ფოკუსირებული, მათზე,

ვინც ეკონომიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. ამასთან, არსებობდა სპეციალური წესები, რომლებიც მათ ოჯახის წევრებზე ვრცელდებოდა. დღეისთვის ეს უფლებები ვრცელდება ევროკავშირის ყველა მოქალაქეზე (ევროპის თანამეგობრობის ხელშეკრულება, მუხლი 18) და არ არსებობს არანაირი ეკონომიკური საქმიანობის დემონსტრირების საჭიროება იმ პირთა მხრიდან, რომელთაც სურთ ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლა. მესამე ქვეყნის მოქალაქეები თავიანთი უფლებებით არც ამ თავდაპირველ წესებს ექვემდებარებიან და არც იმ წესებს, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეების თავისუფალ გადაადგილებას ეხება. წევრმა სახელმწიფოებმა იმიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებული საკითხები მოაგვარეს იუსტიციის და შინაგან საქმეთა დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით და მოქმედებდა მთავრობათა შორის თანამშრომლობის საფუძველზე. წევრი სახელმწიფოების სურვილი თავიანთი პოლიტიკური სტრატეგიების კოორდინირება და საერთო პოზიციების გაზიარება იყო. ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს წევრ სახელმწიფოთა შორის სრული თანხმობის საფუძველზე, რომლის დროსაც ევროპის თანამეგობრობის ინსტიტუციები მეორეხარისხოვან როლს შეასრულებენ.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული საერთო თავშესაფრის სტანდარტების ადგილის სახელი მიიღო ევროკავშირმა. სწორედ ამის გამო ბოლო წლების განმავლობაში ევროპული მიგრაციის პოლიტიკა ხელს უწყობს საზღვრების გამკაცრებას. ევროკავშირის დიდ ნაწილში, რომელსაც შენგენის ძონა ეწოდება, ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება შიდა საზღვრების კონტროლის გარეშე , მაგრამ მიგრანტების ნკადის ზრდის გამო, ზოგიერთმა ქვეყანამ სხვა შენგენის ქვეყნებთან საზღვრების დროებითი შემოწმების აღდგენა გადაწყვიტა.

ქვეყნებს შიგნით მიმდინარებს მთელი რიგი დაძაბულობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის, როგორიცაა, მაგალითად რასიზმი. მიგრანტებს ასევე ექმნებათ პრობლემები მკვიდრ მოსახლეობასთან , რაც გამოიხატება კულტურულ შეუთავსებლობაში და ინტეგრაციის სირთულეში. მათვიის ასევე ხშირი პრობლემაა ენობრივი ბარიერები.

კლაუს ზეგბერსი-აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი (გერმანია0 აცხადებს, რომ არსებობს ტერორიზმის საფრთხე, რომელსაც ხელს უწყობს მასობრივი მიგრაციის პროცესი ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. რამდნი მიგრანტი მოაწყდება ევროპას, რთული სათქმელია. არ არის გამორიცხული, ლტოლვილთა ნაკადმა კიდევ მოიმატოს. შესაბამისად აუცილებელიააღდგეს კონტროლი ევროკავშირის საზღვრებზე , სწრაფად მოხდელ ლტოლვილის სტატუსის გაცემა , ხოლო ის ადამიანები, ვინც ამ სტატუსს ვერ მიიღებენ , სასწრაფოდ დაბრუნდნენ სმაშობლოში.

2.3 მაღალკვალიფიციურ მშრომელთათვის დადგენილი სამართლებრივი ნორმები.

ევროპაში შრომითი მიგრაციის შესახებ გამართული დისკუსიების დროს ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა მაღალკვალიფიციურ მშრომელებს. წევრ სახელმწიფოთა შორის, ასევე სხვა მონაწილე მხარეებს შორის არსებობს საყოველთაო თანხმობა იმის შესხებ, რომ მათ ეროვნულ ეკონომიკას სჭირდება მესამე ქვეყნების მაღალკვალიფიციური მოქალაქეები. 2007 წლის 13 სექტემბერს ლისაბონში ლეგალური იმიგრაციის საკითხებზე გამართულ უმაღლესი დონის კონფერენციაზე სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელმა ევროკომისარმა (ჟაკ ბარო, საფრანგეთი) თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ იმიგრაციას უნდა შეხედონ როგორც გამდიდრების საშუალებას და როგორც გარდაუვალ მოვლენას დღევანდელ მსოფლიოში და არა როგორც საფრთხეს. სტატისიკა გვეუბნება: არაკვალიფიციური სამუშაო ძალის 85% მიდის ევროკავშირში, მხოლოდ 5% – აშშ-ში, მაშინ როცა კვალიფიციური სამუშაო ძალის 55% მიდის აშშ-ში და მხოლოდ 5% _ ევროკავშირში. ”ახალი ხედვით უკუღმა უნდა შემოვაბრუნოთ ეს ციფრები, ეს კი ახალი ინსტრუმენტების შექმნას მოითხოვს… ევროპამ კონკურენცია უნდა გაუწიოს ავსტრალიას, კანადას, აშშ-ს.”– განაცხადა ევროკომისარმა. საერთაშორისო მიგრაციის პრაქტიკული კვლევის კონსორციუმის (CARIM) კვლევებით

საშუალო ან უფრო დაბალი საფეხურის განათლების მქონე მიგრანტთა 87% ევროპაში მიდის.

ევროკავშირის სახელმწიფოების მიზანია მაღალკვალიფიციურ მშრომელთა მოზიდვა. არის ქვეყნები რომლებიც ა) იყენებენ სპეციალურ პროგრამებს ან იმიგრაციულ სქემებს მაღალკვალიფიციურ მშრომელთათვის და ბ) სადაც იყენებენ ორდინალურ იმიგრაციულ სქემებს მაღალკვალიფიციურ მშრომელთა იმიგრაციისათვის, მაგრამ გარკვეულ ხელშემწყობ პირობებს უქმნიან მესამე ქვეყნების მოქალაქე მაღალკვალიფიციურ მშრომელებს.

თუმცა არსებობს გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულებაც მაღალკვალიფიციურ მშრომელთათვის შეღავათიანი პირობების შემოღების მიმართ. რადგანაც ერთმანეთისაგან განცალკევებით დგანან მესამე ქვეყნების ის მოქალაქები, რომლებიც სასარგებლოდ არიან მიჩნეულნი და ამიტომ, სასურველნი არიან და ყველა "დანარჩენი", რომელთაც ისე უყურებენ, როგორც სახელმწიფოს სოციალური კეთილდღეობის ტვირთს. მაგალითად არსებობს ფრანგული "ცოდნისა და ნიჭიერების ბარათი" რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული და ისმის კითხვა თუ რამდენად შესაძლებელია საფრანგეთის უფლებამოსილმა ორგანომ მოახერხოს საფრანგეთისა და წარმომავლობის ქვეყნის განვითარებაში მისი მნიშვნელობის შეფასება.

გარდა ამისა "ინტელექტის გადინება" განიხილება როგორც მაღალკვალიფიციურ მშრომელთა მიგრაციის უარყოფითი მხარე. კვლევა აჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნებიდან წასული დაახლოებით 400 000 მეცნიერი და ინჟინერი(მთლიანი რაოდენობის 30-50%) მუშაობს განვითარებული წარმოების მქონე ქვეყნებში მეცნიერებისა და მშენებლობის სფეროში, ხოლო დაახლოებით 1.2 მლნ. აადამიანი საკუთარ სამშობლოშია დაკავებული ამავე საქმიანობით. მაღალკვალიფიციურ მშრომელთა იმიგრაციის ხელშეწყობა შეიცავს იმის საფრთხეს, რომ სერიოზულად შეაფერხოს მესამე ქვეყნების განვითარება. ევროპის კომისიის რეკომენდაციაა ინტელექტის გადინების რისკის შემცირება ცირკულაციური მიგრაციის საშუალებით. გარდა ამისა აქტიურად არ უნდა მოხდეს მშრომელთა მოზიდვა იმ სამუშაო ადგილებზე, რომლებზეც დიდი დატვირთვა

მოდის (კომუნიკე (communique) ცირკულარული მიგრაციის და მობილური პარტნიორობის შესახებ, 2007წ)

3. ცალკეული ქვეყნების გამოცდილება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში

მსოფლიოში დაგროვილია მიგრაციული პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი გამოცდილება, სხვა და სხვა ქვეყნებში არსებობს სხვა და სხვა კონცეპტუალური მიდგომები საერთაშორისო. მიგრაციული ნაკადების სახელმწიფო რეგულირების განსახორციელებლად; შემუშავებულია მეთოდები და ინსტრუმენტები ასეთი რეგულირებისათვის. ქვემოთ მოყვანილია ევროკავშირის სხვა და სხვა ქვეყნის კონკრეტული მაგალითები, საერთაშორისო მიგრაციაში მათი განსხვავებული ხარისხით მონაწილეობა, მიგრაციული პოლიტიკის სხვა და სხვა ტიპები. ამასთან ძირითადი ყურადღება გადატანილია შრომითი მიგრაციის რეგულირებაზე.

3.1 გერმანია

გერმანია, რომელიც არის ყველაზე დიდი სახელმწიფო უცხოელი მოქალაქეების რაოდენობის მიხედვით, ხშირად ცვლის მიგრაციული პოლიტიკის ზომებს უცხოური სამუშაო ძალის მიმართ, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ კონიუნკტურაზე და საერთაშორისო სიტუაციის ცვლილებებზე. ოფიციალური მონაცემებით, უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობამ გერმანიაში 2007 წლის მონაცემებით შეადგინა თითქმის 8 მილიონი ადამიანი, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10,0%. გერმანია ყოველწლიურად იღებს არა მხოლოდ ასი ათასობით იმიგრანტს, არამედ 400 ათასამდე დროებით მუშას, რომლებიც ავსებენ სწრაფად დაბერებადი ერის შრომითი რესურსების ნაკლებობას. 2005 წელს ქვეყანაში მუშაობდა 2 მილიონზე მეტი დროებითი უცხოელი მუშა, რომელთაგან დაახლოებით 30%-ს შეადგენდნენ თურქები, 10%-ს – იტალიელები, 10% შესული იყო სერბიიდან და ჩერნოგორიიდან, 6% - საბერძნეთიდან. შრომითი რესურსების იმპორტის

სფეროში გერმანიის სახელმწიფო პოლიტიკის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ეტაპი:

პირველი ეტაპი (1950-იანი წლების შუა პერიოდი – 1973 წელი). ეს არის უცხოელი მუშების აქტიური და ფართომასშტაბიანი მიწვევის პერიოდი, როდესაც გერმანია ახდენდა მუშახელის მწვავე ნაკლებობის კომპენსაციას, უპირველეს ყოვლისა მშენებლობაში და მძიმე ხელით სამუშაოების სფეროში. სახელმწიფო პროგრამისა და მთელი რიგი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ხდებოდა "სტუმარი მუშების" – გასტარბაიტერების მოზიდვა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებიდან დროებით სამუშაოდ გერმანიის ეკონომიკაში. ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები ესპანეთთან (1960წ.), საბერძნეთთან (1960წ), თურქეთთან (1961წ.), მაროკოსთან (1963წ), პორტუგალიასთან (1964წ), ტუნისთან (1965წ.), იუგოსლავიასთან (1968წ.). გერმანიის დასაქმების ფედერალურმა სამსახურმა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში დაარსა სააგენტოების ქსელი სამუშაო ძალის დაქირავების მიზნით. ეს სააგენტოები უზრუნველყოფდნენ მუშაკების შერჩევას პროფესიული, ასაკობრივი და განათლების დონის ნიშნით, აგრეთვე ატარებდნენ პრეტენდენტთა სამედიცინო გამოკვლევას. ქვეყანაში შესული გასტარბაიტერების რიცხოვნობა იზრდებოდა წლიდან წლამდე. 1973 წლისათვის უცხოელი მუშების რაოდენობამ გერმანიაში გადააჭარბა 2,6 მილიონ ადამიანს. კონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ ბევრმა დროებითმა მუშამ აღარ მოისურვა სამშობლოში დაბრუნება და, მაშინდელი გერმანიის ლიბერალური კანონმდებლობის საფუძველზე მათ მოახერხეს მიეღოთ გერმანიის მუდმივი მცხოვრების სტატუსი.

მეორე ეტაპი (1973წ. – 1980-იანი წლების დასასრული) – ეს არის შრომითი მიგრანტების შემოდინების მკაცრი შეზღუდვის პერიოდი, როდესაც 1973 წელს დაიწყო ენერგეტიკული კრიზისი და რომელსაც მოჰყვა ეკონომიკური დეპრესია და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. გერმანიის მთავრობამ ცალმხრივად გააუქმა შეთანხმებები უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვის შესახებ და ქვეყანაში ოფიციალურად აკრძალა უცხოელი მუშების შრომის გამოყენება. გამონაკლისი შეეხოთ იმ პირებს, რომელთა პროფესია იყო

განსაკუთრებულად დეფიციტური და პრესტიჟული (კვალიფიციური ექიმები, სპორტსმენები, არტისტები და ა.შ.). ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გერმანია მსოფლიოში გამოირჩეოდა ყველაზე მკაცრი საიმიგრაციო კანონმდებლობით, რომელიც შრომითი მიგრაციის შეზღუდვის ადმინისტრაციული ზომების გარდა ითვალისწინებდა მაღალ გადასახადებსა და ჯარიმებს სამუშაოს მიმწოდებლებისათვის უცხოელი მუშების მოწვევისა და მათი არაკანონიერი შრომის გამოყენების გამო.

მესამე ეტაპი (1990-იანი წლები) დაკავშირებულია გერმანიის ეკონომიკურ ზრდასთან და საზღვარგარეთიდან დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვის განახლებასთან. 1991 წელს გაუქმდა აკრძალვა გერმანიაში იმ ქვეყნების მოქალაქეთა დასაქმების შესახებ, რომლებიც არ შედიოდნენ ევროკავშირში. მსოფლიო სოციალისტური სისტემის რღვევამ შექმნა შედარებით იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალის მიმწოდებელი ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპაში. გერმანიის მთავრობამ გამოიყენა ეს ფაქტი თავისი შრომის ბაზრის შესავსებად და დადო ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დროებითი შრომითი მიგრანტების მოსაზიდად. ეს ხელშეკრულებები ეხებოდა მუშათა სამ ჯგუფს;

- სტუმარ მუშებს (ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ყოველწლიურ რაოდენობრივ კვოტებს იმ პირთათვის, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში როგორც გასტარბაიტერები თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში: მაგალითად, ხელშეკრულება რუსეთთან ითვალისწინებს ყოველწლიურად 2000 ადამიანის შესვლას გერმანიაში დროებით სამუშაოდ, პოლონეთიდან – 1000 ადამიანის, ჩეხეთიდან – 1400 ადამიანის, უნგრეთიდან – 2000 ადამიანის, სლოვაკეთიდან – 700 ადამიანის, ბულგარეთიდან – 1000 ადამიანის და ა.შ.);
- სეზონურ მუშებს სამუშაოდ სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, სასტუმროების სექტორში,ტურიზმის სფეროში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დასამუშავებლად და ხის სახერხ საწარმოებში;

- მუშებს, რომლებსაც მოიზიდავენ უცხოური ფირმებისა და კონტრაქტორების გარკვეული პროექტების შესასრულებლად. ამჟამად ეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ფორმაა, როდესაც უცხოური ფირმა-კონტრაქტორი იყენებს თავის მუშებს სამშენებლო და მომსახურების სხვა და სხვა სფეროში და იძლევა გარანტიას, რომ მათ უზრუნველყოფს სოციალური გარანტიებით, გადაუხდის ხელფასებს, და პროექტის დასრულების შემდეგ დააბრუნებს მათ სამშობლოში.

მეოთხე ეტაპი (2000 წლის 1 აგვისტოს შემდეგ) დაკავშირებულია გერმანიის იმიგრაციული პოლიტიკის რეფორმირებასთან, რაც გამოწვეული იყო პროფესიონალთა მწვავე ნაკლებობით კომპიუტერული ტექნიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, აგრეთვე გერმანიის ეკონომიკის ზოგიერთ სხვა სფეროებში. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, მათ შორის ვინც არ შედიან ევროკავშირში, და გერმანიის შრომის სამინისტროს მიერ მათი კანდიდატურის მოწონების შემთხვევაში, შრომით მიგრანტთა სხვა კატეგორიებთან შედარებით, მათ ეძლევათ უპირატესობა მიიღონ გერმანიაში ხანგრძლივად ცხოვრებისა და მუშაობის უფლება. ახალი წესდება ითვალისწინებს უცხოელ სპეციალისტებზე რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, "მწვანე ბარათების" გაცემას, რომელიც მათ ნებას რთავს იმუშაონ ქვეყანაში ხუთი წლის განმავლობაში. ამ პროგრამის მოქმედების სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში შევიდა დაახლოებით 14,5 ათასი სპეციალისტი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროდან. შრომითი მიგრანტების უმეტესობა, რომლებმაც მიიღეს "მწვანე ბარათი," არიან ინდოეთიდან გამოსულები (26%), რაოდენობრივად მეორე ჯგუფს ქმნიან რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების მოქალაქეები (13%). მთლიანობაში გერმანიის შრომის ბაზარზე შესვლა ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისათვის პრინციპიალურად განსხვავებულია. ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს არ ჭირდებათ ნებართვა გერმანიაში სამუშაოდ, მათ მხოლოდ უნდა მიიღონ ფორმალური ნებართვა საცხოვრებლად, რომელიც მათ ავტომატურად აძლევთ შრომითი მოწყობისა და სწავლების უფლებას (5 წლამდე ვადით). რაც შეეხება იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, მათ

შეუძლიათ შევიდნენ გერმანიაში ზემოთდასახელებული სახელმწიფოთაშორისი სამი ტიპის შეთანხმებიდან ერთ-ერთის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ გერმანიაში არის განსაკუთრებული მოთხოვნა მათ პროფესიაზე ან კვალიფიკაციაზე (მეცნიერ მუშაკები, მასწავლებლები, სპეციალისტები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროდან, ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები), და ამასთანავე თუ არის შრომის ფედერალური უწყების თანხმობა.

3.2 იტალია

იტალიამ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით გვიან მიიღო შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის სტატუსი. 1950-1970-იან წლებში იტალია იყო სამუშაო ძალის უმსხვილესი მიმწოდებელი დასავლეთ ევროპის ქვეყნების შრომის ბაზარზე. 1973 წლის კრიზისის შემდეგ სიტუაციამ დაიწყო შეცვლა: დაიწყო იტალიური წარმოშობის მიგრანტთა ნაკადების უკან დაბრუნების პროცესი; გარდა ამისა, იტალიის შრომის ბაზარზე, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით არ იყო დაცული საკანონმდებლო ბარიერებისაგან, ნაწილობრივ ორიენტაცია აიღეს შრომითი მიგრაციის ნაკადებმა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე იმ პერიოდში იტალიის ეკონომიკის სწრაფი განვითარება. ამას გარდა 1980-იანი წლების ბოლომდე, მიუხედავად იმიგრანტთა შედარებით დიდი ნაკადების შემოდინებისა (150 ათას კაცამდე წელიწადში), იტალიაში პრაქტიკულად ტარდებოდა ღია კარის პოლიტიკა როგორც მუდმივი, ისე დროებითი მიგრანტების მიმართ. თუმცა მთავრობის მხრიდან უყურადღებობამ მიგრანტთა რაოდენობის ზრდის კონტროლისადმი გამოიწვია სიტუაციის გამწვავება ადგილობრივ შრომის ბაზარზე, გავრცელდა სიღარიბე, გახშირდა კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე.1990 წელს მიღებულმა კანონმა № 39, რომელიც ცნობილია მარტელის კანონით, გამოაცხადა მიგრაციული პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფდა ქვეყანაში მყოფი მიგრანტების, მათ შორის

არალეგალების სოციალურ დაცვას, მათთვის ლეგალური სტატუსის მინიჭებას, ხოლო მეორეს მხრივ იგი ითვალისწინებდა ქვეყანაში შესვლის უფლებების გამკაცრებას, ე.ი. ახალი მიგრანტთა ნაკადების შეზღუდვას. ასეთი კონცეფცია მთლიანობაში შეესაბამება ევროკავშირის ერთიან მიგრაციულ პოლიტიკას.კანონმა № 39 იტალიაში პირველად შემოიტანა ცნება მიგრაციული ნაკადების მართვის შესახებ. ასეთი მართვის მექანიზმად შემუშავებული იქნა პრიორიტეტების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო როგორც ეკონომიკურ პრინციპებზე (მუშაკთა ნაკლებობა ეკონომიკის გარკვეულ დარგებში), ისე კულტურულ უპირატესობებზე (იტალიური წარმოშობის პირები და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები). შრომით მოწყობისას აგრეთვე გამოიყენება პრიორიტეტების სისტემა, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

1. იტალიისა და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები;
2. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც აქვთ იტალიაში დროებითი ცხოვრების ნებართვა (მუდმივი მაცხოვრებლები);
3. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც აქვთ იტალიაში დროებითი ცხოვრების ნებართვა;
4. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც არა აქვთ იტალიაში ცხოვრების ნებართვა ვიზების 20 კატეგორიიდან, რომლითაც ამჟამად კანონიერად შეიძლება შესვლა იტალიაში, მხოლოდ 2 კატეგორია აძლევს უფლებას პირებს შევიდნენ ქვეყანაში სამუშაოდ:

• ვიზა "დამოუკიდებელი მუშაკებისთვის," (დამოუკიდებელი ხასიათის სამუშაო:

მეწარმეები, "თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები" და ა.შ.),

• ვიზა" დამოკიდებელი მუშაკებისთვის," ე.ი. დაქირავებული მუშაკებისთვის. ყველაზე გავრცელებული ვიზის მეორე ტიპი მოითხოვს, რომ სამუშაოს მიმწოდებელს გააჩნდეს კონკრეტული უცხოელი მუშაკის დაქირავების ნებართვა მოცემული პროვინციის შრომის დეპარტამენტიდან, რათა ადგილობრივი შრომის ბაზარი დაცული იყოს ჭარბი კონკურენციისგან. ამას გარდა, სამუშაოს მიმწოდებელი უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ

უცხოელ მუშაკს მიეცემა თანაბარი სოციალური გარანტიები ადგილობრივ დაქირაბებულ მუშაკთან ერთად და კონტრაქტის დასრულების შემდეგ იგი აუცილებლად დატოვებს ქვეყანას.

4. ცირკულარული მიგრაციის სქემები ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის

4.1 იტალია

იტალია ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ხელი მოაწერა (პირველად 2003 წელს, ხოლო მეორედ 2011-ში) შრომითი მიგრაციის ორმხრივ ხელშეკრულებას მოლდოვასთან-მას შემდეგ, რაც სათანადოდ შეაფასა მოლდოველი მიგრანტების წვლილი მუშახელის დეფიციტის შევსებაში კონკრეტული სექტორების მიხედვით (მაგალითად ბინაზე მოვლა). მიგრანტების ამ კონკრეტული ჯგუფის სტატუსის დარეგულირების გადაწყვეტილება სამუშაოს ზრდამ და მიგრანტების სამუშაოს ზრდამ და მიგრანტების ამ ჯგუფში დანაშაულის შედარებიტთ დაბალმა მაჩვენებელმაც განაპირობა. მეორე შეთანხმებასა და განხორციელების პროტოკოლს ხელი 2011 წლის 5 ივლისს მოეწერა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის პარტნიორობა მობილურობისათვის ფარგლებში. შეთანხმების დებულებების თანახმად, დაწესდა მიგრანტების კვოტები (პირველად შესვლასთან დაკავშირებით) და ჩამოყალიბდა ცირკულარული მიგრაციის სქემები მოლდოველი მიგრანტების დაბრუნების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა ორმხრივი ტექნიკური დახმარების პროექტები, პროფესიული გადამზადებისა და იტალიური ენის შემსწავლელი კურსები (მოლდოვაში). გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებს იტალიაში მოლდოვის დიასპორის მხარდაჭერის ზომბსაც.

მოლდოვასთან ხელმოწერილი შეთანხმება არეგულირებს მოლდოველი შრომითი მიგრანტების ცირკულარულ მიმოსვლას. პროტოკოლის მეშვიდე მუხლის მიხედვით, იტალია ვალდებულია ფასილიტაცია გაუწიოს ორივე მხარის მიერ არჩეული მიგრანტების კონკრეტული კატეგორიის დაბრუნებას მოლდოვაში. ეს დებულება საშუალებას აძლევს მოლდოვის მოქალაქეებს, დაკავდნენ სეზონური სამუშაოთი ცხრა თვის განმავლობაში მუშაობის განუახლებადი უფლების საფუძველზე. პრიორიტეტის

მინიჭები კონკრეტულ წელს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეასრულა აპლიკანტმა წარსულში შრომითი მიგრაციის მოთხოვნები ან გაიარა თუ არა შესაბამის სფეროში მოსამზადებელი კურსები. შეთანხმება მიგრანტ დასაქმებულს ანიჭებს შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის იმავე უფლებებს, რომლებითაც სარგებლობენ იტალიის მოქალაქეები.

4.2 ნიდერლანდები.

„ცისფერი ჩიტების“ სახელით ცნობილი საპილოტე პროგრამა , რომელიც 2009 წლის დეკემბერში დაიწყო, მიზნად ისახავდა განესაზღვრა დროებითი და ცირკულარული შრომითი მიგრაციის შესაძლებლობები. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 160 ნახევრად კვალიფიციური მუშა სამხრეთ აფრიკიდან და ინდონეზიიდან-ქვეყნებიდან, რომლებთანაც ნიდერლანდებს ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებს. პროგრამის დასრულების შემდეგ მიგრანტები უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. პროგრამა მიზნად ისახავდა „სამმაგი მოგების მიღებას: 1.ჰოლანდიური შრომის ბაზრის დეფიციტის შევსებას, 2. ,იგრანტებისთვის ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემას, 3. მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობას წარმოშობის ქვეყნების ეკონომიკაში. მიგრანტების დაბრუნების წასახალისებლად პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი სახის მხარდაჭერას, როგორიცაა კონსულტაციები სამუშაოს მოძიებაში და მომზადება ბიზნესის დასაწყებად.

პროგრამის განხორციელების საწყიოს ეტაპზე საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები დაწესდა: მონაწიელობა აეკრზალა მაღალკვალიფიუციურ და არაკვალიფიციურ მუშახელს. გარდა ამისა, სქემიდან თავიდანვე გამოირიცხა დასაქმება ჯანდაცვის სექტორში. უფრო მეტიც, მკაცრად განისაზღვა ცხოვრებისა და მუშაობის პირობები: მონაწილეებს არ ჰქონდათ ოჯახის წევრების ჩამოყვანის უფლება და ვალდებულები იყვნენ ემუშავათ, სულ მცირე,

ოტხი დღე კვირაში საბაზრო ფასების შესაბამისი ანაზღაურებით. მიგრანტებს შეეძლოთ ემუშავათ მხოლოდ ისეთ სამუშაოზე, რომელზეც ვერ მოიძებნა ჰოლანდიის ან ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქე, ხოლო მუსაობის ხანგრძლივობა მაქსიმუმ ორი წლით განისაზღვრა. პროგრამაში ჩართვა დროებით შექმნილ დასაქმების ყველა სააგენტოს ყველა სააგენტოს აეკრძალა.

პროგრამამ მალევე მიიქცია ევროკავშირის ინსტიტუტების ყურადღება, როგორც ერთ ერთმა მცირერიცხოვან პროექტთაგანმა, რომელსაც შეეძლო რეალური შედეგი მოეტანა. მიუხედავად ამისა, პროგრამა ვადაზე ადრე-2011 წლის ივნისში-შეწყვიტა არსებობა საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, რადგან დამსაქმებლებისთვის შესაძლებლობების ზრდა უცხოური სამუშაო ძალის გამოყენებით მთავრობის ამოცანას აღარ წარმოადგენდა. ამავე დროს სქემის განხორციელებისას მიღებულმა გამოცდილებამ შესაძლებელი გახადა შეემუშავებინათ კონკრტეტული რეკომენდაციები ცირკულარული მიგრაციის სამომავლო სქემებისთვის. დაქირავების წარმატებული პროცესისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ჰოლანდიელი დამქირავებლების ინტერესი უცხოური მუშახელისადმი აქ გასათვალისწინებლია ის გარემოება, რომ დამქირავებლებთან დაკავშირება მოხდა ეკონომიკური კრიზისის პიკზე, როდესაც ნაკებ პრობლემური იყო მუშახელის ნაკლებობა. გარდა ამისა, კიდევ ერთ ბარიერს წარმოადგენდა სექტორის არჩევანის და სამუშაო კონტრაქტის მოუქნელობა-ეს ფაქტი აღნიშნეს კიდეც იმ შუამავლებმა, რომლებიც ჰოლანდიელ დამსაქამებლებს სეზონური მუშახელით უზრუნველყოფდნენ.

4.3 გერმანია.

სქემა რამდენიმე სახის სარგებელს სთავაზობს მიგრანტ მუშახელს. მისი პირობების თანახმად, დასაქმებული ვალდებულიაუზრუნველყოს უცხო ქვეყნის დასაქმებული იმ პირობებით, რომლებითაც სარგებლობს გერმანელი სეზონური მუშახელი. დასაქმების კონტრაქტის ირგვლივ წამოჭრილი დავების მოგვარების პასუხისმგებლობა დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს აბარია, რომელიც უფლებამოსილია, დროებით შეუჩეროს პროგრამაში მონაწილეობის უფლება იმ დამსაქმებელს, რომელსაც დასაქმებულის უფლებების დარვევა დაუდასტურდება. ამავე დროს, სქემა არ უზრუნველყოფს უცხოელი მოქალაქეებისათვის სოციალურ სარგებლებსა და სეღავათებს, ხოლო დროებითი მუშაობის ხანგრძლივობა მხედველობაში არ მიიღება ცხობვრების უფლებაზე განაცხადის გაკეთებისას. უფრო მეტიც, დასაქმების პერიოდი შეზღუდულია 6 თვემდე წელიწადში, თუმცა საწყისი თარიღი მკაცრად განსაზღვრული არ არის: მაგალითად დასაქმებულს შეეუძლია იმუშაოს წლის ბოლო 6 და მომდევნო წლის პირველი 6 თვე.

4.4 პოლონეთი.

პოლონეთში მუშაობა სამუშაო ნებართვის გარეშე შეუძლიათ ბელარუსებს, რუსეთის, უკრაინის (2006 წლიდან), მოლდოვისა და საქართველოს (2009 წლიდან) მოქალაქეებს. პოლონეთში შრომის შიდა ბაზრის დეფიციტზე რეაგირების მიზნით შრომის სამინისტროს მიერ შემოღებული რეგულაციები, რომლებიც საშუალებას აძლევს სამი მეზობელი და ევროკავშირი პარტნიორობა მობილურობისათვის ორი ქვეყნის მოპქალაქეებს დასაქმდნენ პოლონეთში, თანდათანობით შერბილდა. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა არ წარმოადგენს ცირკულარული მიგრაციის სრულ ინსტრუმენტს , იგი საშუალებას აძლევს მიგრანტებს, ხელახლა შევიდნენქვეყანაში და იმუშაონ წელიწადში

ექვსი თვის განმავლობაში იმავე პირობებით. მიგრანტებს ასევე შეუძლიათ შეიცვალონ დამსაქმებელი.

გამარტივებული პროცედურები განსაკუთრებით ხელსაყრელია სეზონური სამუშაოსთვის, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება უცხოელი მუშახელის დაქირავებასთან დაკავშირებული დრო და ხარჯები. პოტენციურო დამსაქმებელი აკეთებს განაცხადს უცხოელი მუშახელის დაქირავების შესახებ შრომის სააგენტოს ადგილობრივ განყოფილებაში. განაცხადის დამუშავება სწრაფად ხდება და უფასოა დამსაქმებლისთვის. ამის შემდეგ სამუშაოს მაძიებელს შეუძლია მოითხოვოს ვიზა დამსაქმებლის განაცხადის საფუძველზე . აღსანიშანავია, რომ ეს პროცედურა არ საჭიროებს ერთთვიან ვადას იმის გადასამოწმებლად, ხომარ გამოუთქვამს სამუშაოს შესრულების სურვილი ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის მოქალაქეს; 2011 წლიდან უცხოელებს შეუძლიათ შეიცვალონ დამსაქმებელი მუშაობის პერიოდში.

სისტემა დიდი პოპულარობით სარგებლობს სამიზნე ქვეყნებში. დამსამქმებლების განხადებების რიცხვმა 2008 წელს დაფიქსირებული 156000-დან 2011 წლისთვის 260000-ს მიაღწია, თუმცა 2012 წელს 244000-მდე დარეგულირდა. მიუხედავად იმისა, რომ სქემა, უპირატესად, უკრაინის მოქალაქეებს იზიდავს, დროთა განმავლობაში გაიზარდა პროგრამის ქართველი და მოლდოველი ბენეფიციარების რიცხვიც. 2011 წელს პროგრამაში ჩაირიცხა მოლდოვის 13,024 და საქართველოს 1,774 მოქალაქე, ხოლო მომდევნო წელს იგივე მაჩვენებელი 9,421-ს და, შესაბამისად, 1,384-ს შეადგენდა. 2012 წელს პროგრამით მოსარგებლე ქართველი მიგრანტების 40% მშენებლობაზე მუშაობდა, ხოლო 10% სოფლის მეურნეობაში.

შრომის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა სისტემის ანალიზმა დაადასტურა, რომ პროგრამა წარმატებნით პასუხობს შრომის ბაზრის დეფიციტს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორში, უფრო ნაკლებად-მშენებლობის, ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში (სადაც დასაქმების 6 თვიანი ვადა მეტისმეტად შემზღუდავი აღმოჩნდა). ამავე დროს შეინიშნებოდა ხარვეზებიც: შრომის სააგენტოს ადგილობრივ

განყოფილებებს არ აღმოაჩნდათ საკმარისი საფუძველი, რომ რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ, და არც სათანადო რესურსი, რომ ოწოდებული ინფორმაციის სანდოობა გადაემოწმებინათ. სამუშაო ადგილების დათვალიერებამ ცხადყო, რომ მიგრანტების ნაწილი ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ ვერ იწყებდა მუშაობას. გარდა ამისა დაფიქსირდა ყალბი განაცხადების გაცემის შემთხვევებიც, სავარაუდოდ, გაყიდვის მიზნით. ხარვეზების გამოსასწორებლად შემუშავებული იქნა გაიდლაინები შრომის სააგენტოების განყოფილებებისთვის, რაც უზრუნველყოფდა, მაგალითად, მოთხოვნის განაცხადში დამსაქმებლის საიდენთიფიკაციო და ბიზნესის შესახებ ინფორმაციის სიზუსტეს: იმ შემთხევაში, თუ დამსაქმებელი ვერ ან არ წარადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას, მას კვლავაც შეეძლება პროგრამაში მონაწილობა, მაგრამ ამ ფაქტორს აუცილებლად გაითვალისწინებენ ვიზაზე განაცხადის დამუშავებისას. ამ მექანიზმების წყალობით შემცირდა არალეგალური დასაქმების შემთხვევები, ხოლო 2010 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროგრამის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების შესახებ.

სისტემის გამკაცრების საბოლოო ეტაპზე დამტკიცდა რამდენიმე მექანიზმი დაქირავებულის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მექანიზმების მიხედვით, პოტენციური დამსაქმებელი ვალდებულია განაცხადის ფორმაში მიუთითოს ხელფასის ოდენობა, კონტრაქტის ტიპი და, აგრეთვე, დასაქმების ადგილი და ხანგრძლივობა. თავის მხრივ დასაქმებისთვის აუცილებელი პირობაა არა მხოლოდ დამსაქმებლის განაცხადი, არამედ წერილობითი კონტრაქტის გაფორმებაც. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა არ ითვალისწინებს ადგილობრივი სამუშაო ძალის შემოწმებას, დამსაქმებელი მაინც ვალდებულია მიუთითოს, რომ მან ვერ შეძლო მოთხვნილ სამუშაოზე ადგილობრივი მუშახელის მოძიება და, რომ ის იცნობს რეგულაციებს უცხო ქვეყნის მოქალაქის სამუშაოზე აყვანის შესახებ.

5.მიგრაცია, როგორც აღმავალი ტენდენცია ევროკავშირში

5.1 ევროკავშირი, როგორც მიგრანტთა მიზიდვის ცენტრი.

ევროკავშირის მთავარი მიმზიდველობა მისი გეოგრაფიული მდებარეობაა. ევროკავშირის ტერიტორიაზე ძალიან მარტივია გადასვლა აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთის ქვეყნებიდან, ხმელთაშუაზღვის გავლით. სწორედ ამ გზით მრავლად მიემართებიან მიგრანტები იტალიაში, ესპანეთში, საბერძნეთში, კვიპროსში, მალტაში. გარდა ამისა ევროკავშირი მიმზიდველია ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისათვის. ასევე კავკასიისა და თურქეთის მუშა მიგრანტებს ძირითადად გეზი სწორედ ევროკავშირისკენ აქვთ აღებული. მთავარი მარშრუტი არის ჯერ ახალ წევრ ქვეყნებში შესვლა და შემდეგ უფრო მაღალგანვითარებულ წევრ სახელმწიფოებში გადასვლა.

ევროკავშირის მიმზიდველობა განპირობებულია მისი წარსულით. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უდიდესი კოლონიზატორები იყვნენ. ასე რომ მათ ისტორიული კავშირი აქვთ, აზიისა თუ აფრიკის ქვეყნებთან, რომელიც მნიშვნელოვანი ბიძგია მიგრანტისათვის. მაგალითად ინდოელები ძირითადად გაერთიანებულ სამეფოში მიდიან, ალჟირელები საფრანგეთში, ლიბიელები იტალიაში, თურქები გერმანიაში(მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას და თურქეთს შეთანხმება ჰქონდათ მუშა მიგრანტების გერმანიაში გაგზავნის შესახებ). ევროკავშირი არის მაღალგანვითარბული რეგიონი და რათქმაუნდა შრომით მიგრანტს, რომელიც ეკონომიკური მოტივით ტოვებს სამშობლოს მხოლოდ მაღალი შემოსავალი აინტერესებს და ამის მიღებას ევროკავშირში მოელის. მართალია კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრია, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი დაბრკოლება შრომითი მიგრანტებისათვის. მათი მრავალრიცხოვნება ხშირად ხდება კამათის საგანი ევროკავშირში სხვადასხვა დონეზე. სწორედ ამიტომ დადგა აუცილებლობა ყურადღება მიექცეს ამ საკითხს, რაზეც მუშაობს კიდეც ევროკომისია.

ევროპა აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო მიგრაციულ ნაკადებში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში. დროთა განმავლობაში მისი როლი კარდინალურად

შეიცვალა: მიგრანტთა მასიური გადინების რეგიონიდან იგი გადაიქცა მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებიდან მიგრანტთა მიზიდულების რეგიონად. თანამედროვე მიგრაციული სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ევროპაში, გამოირჩევა მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და გეოგრაფიული კავშირებით "ცენტრალურ ქვეყნებს" შორის. იგი ხასიათდება მიგრაციული ნაკადების მრავალფეროვნებით და მრავალმიმართულებით, ახალი იმიგრაციის ქვეყნებისა და მიგრანტთა ახალი "მიმწოდებელი ქვეყნების" წარმოშობით, მიგრაციის ახალი ვექტორის "აღმოსავლეთი-დასავლეთის" ფორმირებით.

ევროპის მიგრაციულ სისტემაში სამუშაო ძალის მიზიდულების ცენტრებად გამოდიან დასავლეთ, ჩრდილოეთ, ხოლო უკანასკნელ წლებში აგრეთვე სამხრეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები. 2010 წელს ევროკავშირის 15 ქვეყანაში ოფიციალურად დასაქმებული უცხოელების (მათი ოჯახის წევრების ჩათვლით) რაოდენობამ შეადგინა 25 მილიონზე მეტი ადამიანი. 2004 წლის მაისში ევროკავშირის გეოგრაფიული საზღვრების შეცვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეს ციფრი. რადგან ევროკავშირში შევიდა აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეს ქვეყნები იქცნენ დსთ-დან შრომითი მიგრანტების მიზიდულების კერებად. ამ ქვეყნებში მიგრანტები აგრეთვე შედიან ვიეტნამიდან, ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. უცხოელები ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობენ გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, აგრეთვე იტალიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, შვეციაში.

გერმანიას ევროპაში უკავია პირველი და მსოფლიოში მეორე ადგილი (აშშ-ის შემდეგ) იმიგრანტთა რიცხოვნობის მიხედვით. 2015 წელს გერმანიაში ცხოვრობდა 12 მილიონი უცხოელი მოქალაქე (15.0% მთელი მოსახლეობის), მათ შორის 3.7 მილიონი ადამიანი შეადგენდა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, რაც ქვეყნის მთელი სამუშაო ძალის 10%-ია. ძირითადად ესენი არიან თურქები, იტალიელები, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების მოქალაქეები.

საფრანგეთში უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგინა 7.8 მილიონი ადამიანი (11.1% მთელი მოსახლეობის), ხოლო უცხოელ მომუშავეთა (უპირატესად ჩრდილოეთ აფრიკიდან და პორტუგალიიდან) რაოდენობამ კი – 1.6 მილიონი (6.2% მთელი სამუშაო ძალის).

დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს 8.5 მილიონზე მეტი უცხოეთის მოქალაქე (ქვეყნის მოსახლეობის 11.3%), რომელთა უმეტესობა ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებიდა არიან (ბრიტანეთის თანამეგობრობა ეს არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნებაყოფილობითი ასოციაცია, რომელიც ჩამოყალიბდა ბრიტანეთის კოლონიალური იმპერიის დაშლის შემდეგ. იგი არსებობს 1949 წლიდან და მასში შედიან: დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, კვიპროსი, მალაიზია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდოეთი, პაკისტანი, შრი-ლანკა, განა, ნიგერია, ტანზანია, უგანდა, კენია, იამაიკა და სხვა, სულ – 54 სახელმწიფო).

1.5 მილიონზე მეტი უცხოელია დასაქმებული ავსტრიაში, 5.8 მლნ. – იტალიაში, 5.9 მლნ – ესპანეთში, 2.4 მლნ. – შვეიცარიაში, 1.6 მლნ. – შვეციაში. სამუშაო ძალის საერთო რაოდენობაში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით უცხოელები წარმოდგენილნი არიან შვეიცარიაში (29%) და ლუქსემბურგში (61%-ზე მეტი). ევროპის მიგრაციულ სისტემას საფუძვლად უდევს მრავალი ტრადიციული ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კავშირები, რომელიც ევროპის ქვეყნებს მტკიცედ აერთიანებს ერთმანეთთან, აგრეთვე მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყნებთან. მაგალითად, დღემდე ევროპის მიგრაციულ ნაკადებზე გავლენას ახდენს კოლონიალური სისტემა, რომელმაც დიდი ხანია შეწყვიტა თავისი არსებობა. ამავე დროს ფართოვდება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ძალის "მიმწოდებელი ქვეყნების" სია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში. გაიზარდა მიგრანტთა რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, აგრეთვე ჩინეთიდან და აღმოსავლეთ აზიის სხვა სახელმწიფოებიდან. 1990-იანი წლების განმავლობაში მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ შევიდა ნახევარი მილიონი ლეგალური შრომითი მიგრანტი.

მიგრაციული ნაკადების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ აგრეთვე არალეგალური მიგრანტები.

აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმართული მდგრადი მიგრაციული ნაკადების ფორმირებამ გამოავლინა სამუშაო ძალის ახალი იმპორტიორი ქვეყნები: ასე მაგალითად, დსთ-ს ქვეყნების მიგრანტთათვის მიმზიდველი ქვეყნები გახდნენ ჩეხეთი და პოლონეთი, რომლებიც თვითონ ახდენენ თავიანთი სამუშაო ძალის ნაწილის ექსპორტს დასავლეთის ქვეყნებში. ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა გახდა ევროპის ერთ-ერთი მიგრაციული ცენტრი: პრაღის მოსახლეობის 10% უცხოელია.

ცვლილებები მიმდინარეობს აგრეთვე უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების სტრუქტურაში. თუ 1970-იან წლებში დასავლეთ ევროპაში სამუშაოდ ჩამოსულთა შორის ჭარბობდნენ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც საქმდებოდნენ მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე (მიგრანტთა შერჩევისას განმსაზღვრელი კრიტერიუმი იყო მათი ფიზიკური მონაცემები), ამჟამად მრეწველობაში და მშენებლობაზე დასაქმებულ უცხოელთა წილი მცირდება. იმავდროულად იზრდება დასაქმება მომსახურების სფეროში (ვაჭრობაში, რესტორნებისა და სასტუმროების ბიზნესში, გართობის ინდუსტრიაში, ტრანსპორტზე), აგრეთვე უცხოური სამუშაო ძალისათვის ისეთ “ახალ” დარგებში, როგორიცაა ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერება, უმაღლესი სკოლა, საბანკო სექტორი.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს შრომით მიგრაციაზე ევროპაში, არის სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების ზონების არსებობა ევროკავშირის ფარგლებში. ამჟამად ევროკავშირის წევრი ქვეყნებია დასავლეთ, ცენტრალური და სამხრეთ ევროპის 27 სახელმწიფო. იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც შედიან ევროკავშირში, აქვთ უფლება თავისუფლად შევიდნენ და იცხოვრონ ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში, აგრეთვე სარგებლობენ თანაბარი უფლებებით შრომით მოწყობისას ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში. (თავისუფალი გადაადგილება გულისხმობს იმას, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები მთლიანად თავისუფლები არიან კონტროლისაგან, როდესაც ისინი იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, გადაადგილდებიან ერთი სახელმწიფოდან

მეორეში დროებით ან მუდმივად). ეს ბუნებრივია, მათ აძლევთ უპირატესობის უფლებას სამუშაო ადგილებზე იმ პრეტენდენტებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. მაშასადამე, ევროკავშირის ქვეყნებს შეუძლიათ გადაანაწილონ თავიანთი სამუშაო ძალა საერთო ევროპულ სივრცეში, და ამასთან შეზღუდონ გარედან მომავალი ნაკადები.

ევროპული მიგრაციული სისტემა გამოირჩევა ძალიან რთული სტრუქტურითა და მრავალფეროვნებით. იგი შედგება რამდენიმე ქვესისტემებისაგან, რომელთაც გააჩნიათ დიდი ან მცირე დამოუკიდებლობა. მაგალითად, ქვესისტემას, რომლის ცენტრს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, უკავია რამდენადმე განცალკევებული მდგომარეობა. დიდ ბრიტანეთს აქვს ძლიერი და მტკიცე მიგრაციული კავშირები თანამეგობრობის ქვეყნებთან და პაკისტანთან, ვიდრე კონტინენტალური ევროპის ქვეყნებთან. (დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ უცხოელთა შორის მხოლოდ 10% მოდის ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზე (გარდა ირლანდიისა, რომელიც მიერთებულია ბრიტანეთის ქვესისტემასთან გეოგრაფიული სიახლოვისა და ისტორიული მიგრაციული კავშირების გამო: ირლანდიელებს ყოველთვის გააჩნდათ უფლება დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე თავისუფალი შესვლისა). მეორეს მხრივ, ასი ათასობით დროებითი შრომითი მიგრანტი (მაღალი დონის სპეციალისტები, მეცნიერები, უმაღლესი სკოლის მასწავლებლები, მენეჯერები) დიდი ბრიტანეთიდან დასაქმებულია აშშ-ში (აქ აღსანიშნავია მათი საერთო ენა, კულტურა, მტკიცე პოლიტიკური კავშირები).

მიგრაციული ქვესისტემის სხვა მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ჩრდილოეთის საერთო შრომის ბაზარში. იგი შეიქმნა 1954 წელს და მასში გაერთიანებულები არიან: დანია, ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი და შვეცია. ჩრდილოეთის საერთო შრომის ბაზრის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ უფლება თავისუფლად შევიდნენ დროებით ან მუდმივად (1982 წლიდან) ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში. ეს განაპირობებს მათ რამდენადმე იზოლირებულობას სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან. თუმცა, ევროკავშირის შექმნისა და მის ფარგლებში

თავისუფალი გადაადგილების გამოცხადების შემდეგ, ორივე გაერთიანების ქვეყნების მოქალაქეებს აქვთ გათანაბრებული უფლებები შრომით მოწყობაში და თავისუფალ დასახლებაში. 2. ევროკავშირი, მიგრანტთა მიზიდვის ცენტრი.

5.2 მიგრაციული ნაკადები

საერთო ჯამში, საერთაშორისო მიგრაციამ ევროკავშირში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები ბოლო ათი წლის განმავლობაში. მიგრაციის ნაკადები პერმანენტულად 1 მილიონს აღემატებოდა ყოველწლიურად, 2000 წლიდან 2008 წლამდე. მკვეთრი კლება შეინიშნება ევროპის ფინანსური კრიზისის წლებში. მიგრაციის ნაკადმა კვლავ მიაღწია პიკს 2012 და 2013 წლებში (1.7 მილიონი), მაგრამ 2014 წლიდან კლება დაიწყო. როგორც ეს ლურჯი ხაზითაა ნაჩვენები დიაგრამაზე, 2008 წლამდე თავშესაფრის მაძიებელთა საერთო რაოდენობა წარმოადგენდა საერთო წმინდა ნაკადის მხოლოდ პატარა პროცენტს, იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში იძულებითი მიგრაცია საკმაოდ რელევანტური გახდა საერთო მიგრაციის ჭრილში.

დიაგრამა 1



საერთო ჯამში, ევროკავშირში მესამე ქვეყნებიდან გადასული ყველა მოქალაქის 85% შრომისუნარიანი ასაკისაა (15-64 წ). ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიგრანტების ასაკობრივი შემადგენლობის მედიანა გაცილებით დაბალია ევროკავშირის მოქალაქეების ასაკობრივ მაჩვენებელთან შედარებით (28 წ. 42 წ. შედარებით), ხოლო გენდერული გადანაწილება თითქმის თანაბარია (53% მამაკაცი). ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დაბადებული, მაგრამ ევროკავშირში მცხოვრები ადამიანების საერთო რაოდენობა 2014 წელს 33.6 მილიონი დაფიქსირდა, რაც ევროკავშირის საერთო მოსახლეობის 6.6%-ს წარმოადგენს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში - 13%-ს. საერთო ჯამში, ევროკავშირის ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების მხოლოდ 10.2% დაიბადა სხვა ქვეყანაში (ევროკავშირის სხვა ქვეყნების ჩათვლით). 2014 წლის ბოლოს დაფიქსირებული მდგომარეობით, განისაზღვრა ქვეყნები არა ევროკავშირში დაბადებული რეზიდენტების უდიდესი პროცენტული რაოდენობით: გერმანია (6.0 მილიონი), საფრანგეთი (5.5

მილიონი), გაერთიანებული სამეფო (5.2 მილიონი), ესპანეთი (3.9 მილიონი) და იტალია (3.9 მილიონი). ამ ქვეყნებში არა ევროკავშირში დაბადებული მოსახლეობა ვარირებს დაახლოებით 6.5% და 8.5% ფარგლებში საერთო ჯამში. როგორც ეს აღნიშნულ იქნა პირველ რუკაზე, არა ევროკავშირში დაბადებული მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული წილი დარეგისტრირებულია ესტონეთში (19.2%), ლატვიაში (12.2%), ხორვატიაში (11.7%), ლუქსემბურგში (11.0%) და შვედეთში (10.6%). ამასთან, ბულგარეთში, პოლონეთში, სლოვაკიასა და რუმინეთში არა ევროკავშირში დაბადებული მოსახლეობის პროცენტული წილი საერთო პოპულაციასთან მიმართებაში 1%-ზე დაბალია.

მიგრანტები ძირითადად გადაადგილდებიან ქვეყნებში, სადაც ისინი შესაძლოა გახდნენ თანასაზოგადოების წევრები

წარმოშობის ქვეყნები საკმაოდ განსხვავდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. 2011 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები (დიაგრამა 2) აჩვენებს, რომ ძირითადი წარმოშობის ქვეყნებია მოროკო, თურქეთი, რუსეთი და ალჟირი. წამყვანი წარმოშობის ქვეყნები 2010 – 2013 წლებში იყვნენ ინდოეთი, ჩინეთი, მოროკო, პაკისტანი, აშშ და უკრაინა.

დიაგრამა 2



ევროპა ვერ ახერხებს საერთაშორისო მიგრანტების სრულად ინტეგრირებას: ისინი, როგორც წესი, არეგისტრირებენ უფრო დაბალი ცხოვრების ხარისხის სტანდარტებს, სიღარიბის მაღალ მაჩვენებელსა და სოციალური იზოლაციის/მარგინალიზაციის განაკვეთებს ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით.

ცხრილი 2 აჩვენებს შრომისა და სოციალური პირობების გავლენას უცხოელ, არა ევროკავშირში დაბადებულ ადამიანებზე, როგორც გაცილებით უფრო დაბალს ადგილობრივებთან შედარებით. საერთაშორისო მიგრანტების საშუალო შემოსავლის დონეები 5.5%-ით ნაკლებია ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით. განსვლა შემოსავლებში რელევანტურია განსაკუთრებით მამაკაცებში (-10%), ამასთან, წარმოადგენს რა ქალებში საერთო ჯამში ძალიან უმნიშვნელო განსვლას (-1.1%), თუმცა არა ყველგან

(მაგ,. საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია და ბელგია). არსებითი განსვლებია დარეგისტრირებულია ადგილობრივებსა და არა ევროკავშირში დაბადებულ ადამიანებს შორის ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რაც ყურადღებას იქცევს არსებული სოციალური განსვლების დაუყოვნებელი ნეიტრალიზაციის შესაძლებლობას. ახალგაზრდებში უმუშევრობის მაჩვენებელი და 'NEET' (18-34 წ. ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ და არც რაიმე სახის ტრენინგს გადიან) წილი არსებითად მაღალია არა ევროკავშირში დაბადებული ადამიანებისთვის.

ცხრილი 2.

	უცხოელი, არაევროკავშირში დაბადებული მოსახლეობა	**ადგილობრივი მოსახლეობა**	**სხვაობა**
დასაქმების დონე (საერთო) (15-64)	57.0	65.2	-8.2
უმუშევრობის დონე (საერთო) (15-74)	18.9	9.6	9.3
ქალების დასაქმების დონე (15-64)	49.4	60.4	-10.
ქალების უმუშევრობის დონე (15-74)	19.5	9.7	9.8
ახალგაზრდების უმუშევრობის დონე (საერთო) (15-24)	38.0	21.6	16.4
ახალგაზრდები, რომლეცი არ არიან დასაქმებული, არ	27.1	15.6	11.5

სწავლობენ და არ გადიან ტრეინინგებს			
ძირითადი შემოსავალი (1000 ევრო) ასაკი-18 წ.	17.4	18.4	-5.5 %
ძირითადი შემოსავალი-ქალებში (1000 ევრო) ასაკი-18 წ.	17.7	17.9	-1.1 %
მკაცრი მატერიალური დეპრივაცია	14.7	8.2	6.5
სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დონე (18-60)	40.1	22.5	17.6
სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები (18 წლამდე)	36.4	19	17.40

არა ევროკავშირში დაბადებულ ადამიანებს აქვთ გაცილებით დაბალი მაჩვენებელი სახლის ქონის თვალსაზრისით (30% - საკუთარი დაბადების ქვეყანაში მაცხოვრებელი ევროპელების 71%-თან შედარებით), შემოსავლის დაბალი მედიანით და მაღალი უმუშევრობით. შესაბამისად, არაა გასაკვირვი არსებითად მაღალი განსახლების ხარჯების განაკვეთი არა ევროკავშირში დაბადებული ადამიანებისთვის. ოთხი საერთაშორისო მიგრანტი ათიდან სიღარიბის ზღვარზეა ან სოციალურ იზოლაციაშია, რაც ადგილობრივებთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია. პოპულაციის პროცენტული მაჩვენებლები ცხოვრობენ თანასაზოგადოებებში, სადაც სამუშაო საათები შეზღუდულია ('დაბალი სამუშაო ინტენსივობის თანასაზოგადოებები') ან ისეთი

თანასაზოგადოებები, სადაც ადამიანებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ ყველაზე ელემენტარული საქონელი მათთვის და მათი სახლებისთვის (‘მკაცრი მატერიალური დეპრივაცია’) ასევე არსებითად მაღალია (იხ. ცხრილი 1). როგორც ეს ნათლად ჩანს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული ბოლოდროინდელი ანალიზიდან (აივარი და კოლეგები, 2016 წ.), განსახლების სიტუაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მიგრანტების დიდი ნაკადები შესაძლოა წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ ხელმისაწვდომი განსახლების ბაზარზე შესაბამის რეგიონებში დიდი და მოულოდნელი დარტყმების შემდეგ, რასაც შესაძლოა მოყვეს პოტენციური უარყოფითი შედეგები ყველაზე ღარიბი მოსახლეობისთვის, რომელიც უკვე ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე. მიგრანტები შესაძლოა წააწყდნენ სირთულეებს განსახლების კუთხით იმ რეგიონებში, სადაც დიდია შრომის მოთხოვნა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს ჯგუფი უფრო მოწყვლადია და უფრო მეტად ექვემდებარება სხვადასხვა სახის საფრთხეს დროებითი ან მუდმივი განსახლების თვალსაზრისით. ამას გარდა, ხელმისაწვდომი განსახლების სიმწირე და ბარიერები შემზღუდავი პროცესებია მიგრანტების მობილობისთვის.

5.3 ევროკავშირის შრომის ბაზრის გამოწვევები და პოტენციური გავლენა საერთაშორისო მიგრაციაზე

ევროკავშირის შრომის ბაზარი ერთ წინააღმდეგობას აწყდება: ერთის მხრივ, წევრ სახელმწიფოებში უმუშავრობის მაღალი განაკვეთები, ხოლო მეორეს მხრივ, ვაკანტური ადგილებისა და მუშახელის ან სათანადო უნარ-ჩვევების/დახელოვნების ნაკლებობის მაღალი მაჩვენებლები გარკვეულ გეოგრაფიულ რეგიონებში.

ევროპაში უმუშევრობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება (8.9% 2016 წლის იანვარში), არსებითი განსხვავებებით წევრ სახელმწიფოებს შორის. ხანგრძლივი უმუშევრობა და ახალგაზრდობის დაუსაქმებლობა საკმაოდ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული. ამას გარდა, არ არსებოს ევროკავშირის დონეზე მუშახელის რაოდენობრივი დეფიციტის მაჩვენებელი. ამგვარად, არ არსებობს მუშახელის

აბსოლუტური ნაკლებობა ევროპის შრომის ბაზარზე. მუშახელის მიწოდება და მოთხოვნა გათანაბრებულია. ფაქტობრივად, შრომის ბაზრის სიმჭიდროვე არსებითად შემცირდა კრიზისამდელ სიტუაციასთან შედარებით, ხოლო მიმდინარე შრომის ბაზარი შესაძლოა აღწერილ იქნეს, როგორც თავისუფალი. მე-8 დიაგრამა აჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი მთლიანად ევროკავშირისთვის - 28, 2013 წელს დაფიქსირებული პროგრესის მიუხედავად, შედარებით მაღალი უმუშევრობის კოეფიციენტი (9.1 Q4 2015 წ.) ემთხვევა შედარებით დაბალ სამუშაო ვაკანსიების მაჩვენებელს (1.7). ეს მიუთითებს, რომ გაცილებით მეტი მუშა ეძებს სამუშაოს, ვიდრე გამოცხადებულია ვაკანსიები.

საერთაშორისო მიგრაციას შეუძლია მოახდინოს ევროკავშირში დაბალი მობილობის კომპენსაცია, მხარი დაუჭიროს ხელმისაწვდომი უნარების უკეთ გამოყენებას შერეული უნარების გაუმჯობესებისთვის და შედეგად ადამიანური კაპიტალის საერთო გაუმჯობესებით.

იმ კონტექსტში, როდესაც ევროკავშირი არეგისტრირებს შედარებით დაბალ შრომის მობილობას, მიგრაციას შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი მუშახელის დეფიციტის შესამცირებლად გარკვეულ ქვეყნებში, რეგიონებში, სექტორებისა თუ დასაქმების მიხედვით. გარკვეული კვლევების მიხედვით, მიგრანტებს შეუძლიათ გააუმჯობესონ რეგიონული სხვაობების ადაპტაციის შესაძლებლობა, მაგალითად, სამუშაოების მიღებით ისეთ სექტორებში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლოა არ სურდეს მუშაობა და ეკონომიკური შესაძლებლობების რეგიონულ სხვაობებზე ჰქონდეს უფრო მეტი რეაგირება. იმიგრაციის გავლენის კვლევა ევროპის შრომის ბაზრებზე მიუთითებს რომ მიგრაცია შრომის ბაზრის დარეგულირების მექანიზმია. ამ კონტექსტში იმიგრანტებს სასარგებლო უნარები შემოაქვთ მასპინძელ ქვეყანაში და ავსებენ შრომით დეფიციტს. გარკვეული კვლევების თანახმად, იმიგრანტებს მოაქვთ ღირებული უნარ-ჩვევები, მაგრამ ამასთან, უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მათი პოტენციალი ხშირად არაა სრულად რეალიზებული იმიგრანტების უნარებსა და მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოებს შორის

შეუსაბამობის გამო, რადგან ასეთი სამუშაოები მათი უნარების დონის დაბლაა. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ემპირიული მტკიცებულება მიგრანტების რეაგირებაზე მუშახელის ან უნარ-ჩვევების დეფიციტის თავლსაზრისით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ კვლევაში და აგრეთვე ევროკავშირში ჩატარებულ ბოლოდროინდელ კვლევაში, რომელთა მიხედვითაც იმიგრანტები ისევე ან მეტად რეაგირებენ დეფიციტზე სხვადასხვა სექტორში, დასაქმებისა და რეგიონების მიხედვით, როგორც მათი დანიშნულების ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობა. როგორც ეს აღნიშნულია მომდევნო ნაწილში, ევროპის დემოგრაფიული საკითხები შესაძლოა მხოლოდ ნაწილობრივ დაბრალდეს მიგრაციას. სხვა ფაქტორები, როგორიცაა ხელმისაწვდომი ადამიანური რესურსების უკეთ გამოყენება ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სხვადასხვა სექტორები სხვადასხვა მოთხოვნებით უნარ-ჩვევებთან მიმართებაში მუდმივად მცირდება და იზრდება და კიდევ უფრო მეტად მოსახლეობასთან შედარებით. ამას გარდა, გარკვეულმა ბიზნეს-კვლევებმა აჩვენა დიდი რაოდენობით შეუსაბამობები მიკრო-დონეზე შრომის რესურსების მიწოდებასა და მოთხოვნას შორის.

პოტენციური ზრდის პერსპექტივით, ახალმოსულების ხარისხი (უნარ-ჩვევებისა და განათლების თვალსაზრისით) გადამწყვეტ როლს თამაშობს შრომის პროდუქტიულობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში. ევროპული გამოცდილება საუკუნის პირველ ათწლეულში აჩვენებს, რო, საერთო მუშახელი გაიზარდა 70%-ით მიგრანტების გამო, მაგრამ ეს პროცენტულობა მხოლოდ 14% უმაღლესი განათლების მქონე სეგმენტისთვის. ევროკავშირში იმიგრანტები იღებენ სამუშაოებს, რომლებიც შედარებით დაბალი დონის უნარ-ჩვევებს მოითხოვს. შედეგად, ჩნდება სეგმენტირებული შრომითი ბაზრის წარმოქმნის რისკი შედარებით დაბალი დონის უნარ-ჩვევების სამუშაოებით, რომელთაც მხოლოდ იმიგრანტები იღებენ. ამას გარდა, ბოლოდროინდელი ანალიზი აჩვენებს, რომ მიგრანტების პოტენციური წვლილი დაბალია იმ სეგმენტის შემთხვევაში, რომელიც უმაღლეს განათლებას მოითხოვს, რაც შედეგად იწვევს კვალიფიკაციაზე დაბალი დონის სამსახურების მიღებას ან დასაქმების უფრო დაბალ მაჩვენებლებს უმაღლესი განათლების მქონე საერთაშორისო მიგრანტებისთვის.

როგორც ეს გამოიკვეთა გაეროსა და ევროკავშირის ერთობლივ დოკუმენტში (2014 წ.) გრძელვადიან პერსპექტივაში პოტენციური ზრდისთვის, უნარ-ჩვევების შეუსაბამობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მუშახელის დეფიციტი. ამ კონტექსტში, მიგრაციას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს პროდუქტიულობის მასტიმულირებლის რანგში, ხელმისაწვდომი/არსებული უნარების უკეთ გამოყენებით, შერეული უნარების გაუმჯობესებით და ადამიანური კაპიტალის წმინდა აკუმულირებული მოცულობის გაზრდით. ეს ამასთან მოითხოვს უკვე განსახლებული მიგრანტების უნარ-ჩვევების უკეთ გამოყენებას კარგად იდენტიფიცირებადი და მართვადი გზებით სატანადო უნარ-ჩვევების მქონე ახალი მიგრანტების დასაქმებისთვის.

მიგრაციას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს შრომის პროდუქტიულობის გაზრდაში უნარ-ჩვევების მოთხოვნის სწრაფ განვითარებაზე რეაგირებით.

იმიგრანტების პოტენციური საჭიროება ასაკის კონტექსტში შესაძლოა შეფასდეს მხოლოდ დემოგრაფიული დისბალანსის საფუძველზე, მაგრამ ამასთან უნდა იქნეს გათვალისწინებული ცვლილებები დასაქმების თავისებურების თვალსაზრისით, რაც თავს იჩენს უფრო დინამიურად მოსახლეობის ასაკობრივ ცვლილებებთან და მუშახელთან შედარებით. უმუშევრობის ზრდა, ამასთან, პოტენციურ სამუშაო ძალასთანაა დაკავშირებული. როგორც ეს ნაჩვენებია პეშნერისა და ფოტაკისის მიერ (2013), უმუშევრობის კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლის სცენარის დაშვებითაც ყველა სამუშაო წყაროს (მაგ., ქალები, ასაკოვანი მუშები, არაქმედითი ადამიანები 16-64 წ. ასაკობრივ ჯგუფში და უმუშევრები) და წელიწადში დასაქმების 1%-იანი ზრდის გათვალისწინებით, პრაქტიკულად გარდაუვალია სრული დასაქმება 2032 წლისთვის, როდესაც შრომის რეზერვები სრულად ამოიწურება. დასკვნის სახით, შეგვიძლია მოვიაზროთ, რომ ქმედითი მოსახლეობის ოპტიმისტური სცენარების შემთხვევაშიც, WAP კლება ზეწოლას მოახდენს ზრდაზე. საერთო ჯამში, EUROPOP 2013 ძირითადი სცენარის შემდეგ, სამუშაო ასაკის პოპულაციის წილის შესანარჩუნებლად საერთო მოსახლეობასთან მიმართებაში (64% -

2015 წ.) ევროპა დაარეგისტრირებს განსვლას 61 მილიონი ადამიანის შემთხვევაში სამუშაო ასაკის თვალსაზრისით 2030 წელს და 130 მილიონი ადამიანის შემთხვევაში 2060 წელს. შეუძლებელია ამ განსვლის მარტივად შევსება გაზრდილი ნაყოფიერებით (როგორც ეს ზემოთ იქნა აღწერილი), არც მიგრაციის მარგინალური ზრდაა გამოსავალი. წინასწარ გათვლილი ტენდენციების თვალსაზრისით, მიგრაციის დემოგრაფიული გავლენა მოსალოდნელია, რომ შეადგენს 14 მილიონს 2030 წლისთვის და 57 მილიონს 2060 წლისთვის. როგორც ეს ზემოთ იქნა განხილული, გარკვეულ ქვეყნებში მკვეთრად შემცირდება მოსახლეობა და გაზრდილი მიგრაცია ვერ იქნება მარტივი გამოსავალი ამ ქვეყნებში სპეციფიკური საკითხების გადასაჭრელად. ფაქტობრივად, დამატებით გასათვალისწინებელი მომენტია საერთაშორისო ნაკადების დემოგრაფიული გავლენის შეფასებისას არის მიგრანტების ტენდენცია წავიდნენ ისეთ ქვეყნებში, სადაც შრომითი ბაზარი დინამიურია და უმუშევრობა დაბალი, იმ რეგიონებთან შედარებით, სადაც მოსახლეობა შედარებით ასაკოვანია. პეშნერი და ფოტაკისი (2013 წ.), აივარი და კოლეგები (2016 წ.) © ევროპის საინვესტიციო ბანკი, 2016 წლის მარტი - მიგრაცია დაგვეხმარება დემოგრაფიულ კლებასთან გამკლავებაში

5.4 მიგრაცია და ლტოლვილები: ევროპის საინვესტიციო ბანკის როლი

როგორც ევროკავშირის ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკის მისიაა ევროკავშირის პოლიტიკის მხარდაჭერა და ევროკაშირის საჭიროებებზე კონცენტრირება ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ. ევროპის საინვესტიციო ბანკს წვლილი შეაქვს მიგრაციის შედეგად შექმნილ გამოწვევებზე რეაგირებაში. როგორც ეს წინა ნაწილებში იყო განხილული, მიგრაცია ახლოსაა დაკავშირებული განვითარების გამოწვევებთან წარმოშობის ქვეყნებში და მისი საჭიროებები შესაბამისად უნდა დაკმაყოფილდეს განვითარების პერსპექტივაში. ევროპის საინვესტიციო ბანკი დიდი ხანია წარმოდგენილია იმ რეგიონებში, რომლებშიც ევროპაში მიგრანტების ყველაზე დიდი ნაკადებია წარმოდგენილი, აფინანსებს რა სხვადასხვა პროექტებს, რაც ინფრასტრუქტურისა და

კერძო სექტორების განვითარებას უწყობს ხელს. 2015 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხები მთელს მსოფლიოში 7.9 მილიარდ ევროს შეადგენდა – ევროპულ სამეზობლოზე (2.7 მილიარდი ევრო), აღმოსავლეთზე (1.5 მილიარდი ევრო) და არა ევროკაშირის ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებზე (1.4 მილიარდი ევრო) ფოკუსირებით. საერთო პორტფელი 2015 წლის ბოლოს წარმოდგენილია დიაგრამაზე ფირმების დასაფინანსებლად (განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორში) და საშინაო მეურნეობები ამგვარად წარმოადგენს ბანკის მცდელობების ინტეგრალურ ნაწილს პარტნიორული ქვეყნების ზრდისა და განვითარების მხარდასაჭერად.

6. შრომითი მიგრაციის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში

2009 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ამბიციურმა ინიციატივამ, დეკლარაციის მიღების საფუძველზე, ახალი იმპულსი მისცა როგორც ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის 6 ქვეყნის სამომავლო ძალისხმევას – მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირს. აღნიშნულმა პროექტმა გააჩინა, არა მარტო ევროკავშირის შემდგომი გაფართოების იმედი, არამედ დასახა თავად ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის ღრმა თანამშრომლობისა და ინტერესთა ურთიერთდაახლოების შესაძლებლობები. დეკლარაციის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში განისაზღვრა 4 ძირითადი მიზანი: პოლიტიკური ასოცირება, ეკონომიკური ინტეგრაცია, მობილობა, სექტორული თანამშრომლობა. მობილობის უზრუნველსაყოფად, დეკლარაციაში ნათქვამია, რომ, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, საჭიროა მოქალაქეთა მობილობის ხელშეწყობა ვიზის ლიბერალიზაციისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების დადებით, რამაც უნდა უზრუნველყოს კარგად ორგანიზებული და უსაფრთხო მიგრაციული პროცესები. გამომდინარე აქედან, მობილობა პარტნიორობისთვის გახდა ევროკავშირის შრომითი მიგრაციის პოლიტიკის საგარეო განზომილების ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ინსტრუმენტი. სამთავრობოთაშორისო თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა ცირკულარული მიგრაციის სქემების რეგულირებისა და განვითარების მექანიზმად. აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის, მოლდოვასთან 2008 წელს, საქართველოსთან (2009 წელს) და სომხეთთან (2011 წელს) ევროკავშირის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას — პარტნიორობა მობილურობისთვის. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მობილურობისთვის პარტნიორობის მიზანია

ლეგალური მიგრაციის, მათ შორის ცირკულარული მიგრაციის მენეჯმენტი, რომლის დროს მხარეები მხედველობაში მიიღებენ შრომის ბაზრის პირობებს და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. მხარეები არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ განახორციელებენ როგორც პრევენციულ, ასევე სხვა საჭირო ღონისძიებებს. მხარეები თანხმდებიან იმაზეც, რომ ხელს შეუწყობენ სამართლებრივ მობილურობას დროებითი შრომითი მიგრაციის სქემების ჩამოყალიბებით, არალეგალური მიგრაციის რისკების შემცირების, მიგრანტთა ინფორმირებისა და მიგრანტთა უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერებით.

6.1 საქართველო

საქართველოს რატიფიცირებული აქვს „ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული)“, რომლის დებულებები შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით, ქვეყნისთვის აღსასრულებლად სავალდებულოა. საქართველოს რატიფიცირებული აქვს, აგრეთვე, სხვა კონვენციებიც, რომლებიც გარკვეულწილად ეხება შრომითი მიგრაციის სფეროს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 181-ე კონვენცია „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 88-ე კონვენცია „დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ“; „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია. ასევე, კონვენციები, რომლებიც არეგულირებენ ტრეფიკინგის საკითხებს და სხვა. საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული შრომითი მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი კოვენციები. ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორს თანამშრომლობა შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ სერიოზული ბიძგი მისცა მიგრაციის მართვის სისტემის განვითარებას ქვეყანაში. როგორც უკვე აღინიშნა, „პარტნიორობა მობილურობისთვის“ ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ

მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლასა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. შესაბამისად, იგი ითვლისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცა შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხი. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებებს „ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ“ და „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“. ორივე შეთანხმება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტია. 2010 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის #314 დადგენილებით შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელმაც შეიმუშავა მიგრაციის სტრატეგიის ტექსტი. საქართველოს მთავრობამ 2013 წლის მარტს #59 დადგენილებით 2013-2015 წლებისთვის დაამტკიცა მიგრაციის სტრატეგია, რომელმაც მოიცვა შრომითი მიგრაციის სფერო. საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება ლეგალური, დროებითი და შრომითი ემიგრაციის დადებითი ეფექტების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, შრომითი მიგრანტების უფლებებისა და მათი სოციალური უსაფრთხოების სათანადოდ დაცვა. მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა და სამართლებრივი რეგულირების დინამიკისა, საქართველოს დღემდე არ მიუღია კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული ნორმები მიმოფანტულია სხვადასხვა კანონში, რომლებიც, რა თქმა უნდა, ფრაგმენტული ხასიათისაა და, ამდენად, სფეროს ეფექტურად და სრულყოფილად მომწესრიგებელ დებულებებად არ მიიჩნევა. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ უშუალოდ არ არეგულირებს შრომითი ემიგრაციის სამართლებრივ ასპექტებს. ის ზოგადად აწესრიგებს ემიგრაციისთვის ნებართვის გაცემის, გაცემაზე უარის თქმის და ნებართვის გაუქმების შესახებ შემთხვევებს, საქართველოდან ემიგრაციისთვის საჭირო დოკუმენტებთან დაკავშირებულ საკითხებს, არასრულწლოვანის ემიგრაციას და სხვა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“80 საქართველოს კანონის თანახმად, უცხოელთა

შრომითი საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. თუმცა, მსგავსი ნორმატიული აქტი ჯერჯერობით არ არსებობს. კანონიდან შეიძლება ამოვიკითხოთ ის ზოგადი წესები და პროცედურები, რომლებსაც იყენებენ შრომითი მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. კანონი ახდენს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ფასეულობების დეკლარირებას: უცხოელის საქართველოში შემოსვლა, ყოფნა და გასვლა ემყარება ოჯახის ერთიანობის პრინციპს; დაუშვებელია დისკრიმინაცია; უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც საქართველოს მოქალაქეს და აკისრია ისეთივე მოვალეობები, როგორიც საქართველოს მოქალაქეს; საქართველოში მცხოვრები უცხოელი იბეგრება ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქე. უცხოელის ოჯახის წევრში იგულისხმება უცხოელის მეუღლე, შვილი, მშობელი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შრომისუუნარო პირი. უცხოელის შრომით საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომლისთვისაც პირი იღებს ანაზღაურებას. საქართველოში უცხოელის ყოფნისთვის მოითხოვება ვიზა და ბინადრობის ნებართვა. უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადად კი განისაზღვრება საქართველოს ვიზასა და ბინადრობის ნებართვაში აღნიშნული ვადა, ასევე, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა. საქართველო სულ გასცემს 5 კატეგორიის ვიზას: დიპლომატიურს,

სპეციალურს, ორდინალურს, საიმიგრაციოს და ტრანზიტულს. შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად გაიცემა საიმიგრაციო ვიზის D1 კატეგორია, ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით საქართველოში მომავალ პირებზე გაიცემა საიმიგრაციო ვიზის D4 კატეგორია. უცხოელი ავსებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის სავიზო განაცხადს და მიუთითებს საქართველოში შემოსვლის მიზეზებსა და მიზნებს, ხოლო საქართველოში შემოსვლისას სასაზღვრო გამტარ პუნქტებში უცხოელის ინსპექტირებას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო და ის წყვეტს ქვეყანაში შესვლის შესახებ თანხმობის ან უარის საკითხებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტო. საქართველოში გაიცემა რამოდენიმე კატეგორიის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის ა) „შრომითი ბინადრობის ნებართვა“, რომელიც გაიცემა შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, 2) ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, რომელიც გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე. აღნიშნული ბინადრობის ნებართვები უცხოელებზე შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 6 წლის ვადით. უცხოელი ვალდებულია ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში აიღოს ბინადრობის მოწმობა, რომელსაც გასცემს ზემოხსენებული სააგენტო. უცხოელი ვალდებულია დატოვოს საქართველო კანონიერი ვადის ამოწურვამდე. თუ მას ამოეწურა კანონიერად ყოფნის ვადა, უცხოელი საქართველოდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ ვალდებულია გადაიხადოს საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისთვის დადგენილი ჯარიმა. ასევე, შესაძლებელია ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტა. ასეთ დროს საიმიგრაციო ვიზის მოქმედების ვადის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას შრომით ურთიერთობებში, რაშიც, სავარაუდოდ, იგულისხმება შრომითი მიგრანტის უფლებრივი მდგომარეობაც, თუმცა კოდექსი ინდივიდუალურად საკითხს არ არეგულირებს. რაც შეეხება სტატისტიკას საქართველოში შრომითი მიგრაციის შესახებ (ზოგადი მიგრაციული ნაკადებიდან სპეციალიზირებულად გამოყოფილი ინფორმაცია საქართველოში შრომითი მიგრანტების რაოდენობის და მათი დასაქმების სფეროების, ასევე, საქართველოდან შრომითი მიგრაციით გასულთა რაოდენობისა და სფეროების მიხედვით), საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს არ აქვს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მოწოდებულ ინფორმაცია იხ. დანართებში).

6.2 მოლდოვა

მოლდოვა მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელმაც 2008 წელს მიიღო სპეციალური კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“. კანონი შედგება 5 თავისა და 26

მუხლისგან. კონვენციების შესაბამისად აყალიბებს სათანადო ტერმინებსა და ახდენს საკითხთა კონკრეტიზაციას. კანონში განმარტებულია შემდეგი ძირითადი ტერმინები:

ა) „შრომითი მიგრაცია“ (labour migration) ნიშნავს მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებაყოფლობით წასვლას საზღვარგარეთ, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა ნებაყოფლობით შესვლას მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი შრომითი საქმიანობის შესასრულებლად.

ბ) „იმიგრანტი მუშა“ (immigration worker) ნიშნავს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ანდა მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით ახორციელებს შრომით საქმიანობას;

გ) „ემიგრანტი მუშა“ (emigrant worker) ნიშნავს მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე და რომელმაც ნებაყოფლობით დატოვა ის საზღვარგარეთ შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად.

დ) „ინდივიდუალური მუშა“ (detached worker) ნიშნავს უცხო ქვეყნის იურიდიული პირის (რომელიც მდებარეობს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე) დასაქმებულს, რომელიც გაგზავნილია შრომითი საქმიანობისთვის მოლდოვას რესპუბლიკაში ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირის (რომელიც მდებარეობს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე) კვალიფიციურ/გამოცდილ დასაქმებულს (skilled employee), რომელიც გაგზავნილია შრომითი საქმიანობისათვის წარმომადგენლობით ოფისში ან ფილიალში, რომელიც მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზეა.

ე) „სეზონური მუშა“ (seasonal worker) ნიშნავს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც დასაქმებულია მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ, შრომის ხელშეკრულების საფუძველზე (employment contract) კონკრეტული ვადით ან განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად კალენდარული წლის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

ვ) „მესაზღვრე მუშა“ (Border worker) ნიშნავს იმ ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს საერთო საზღვარი მოლდოვას რესპუბლიკასთან და რომელიც დასაქმებულია სასაზღვრო ზონაში მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე, მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც დასაქმებულია სასაზღვრო ზონაში მოლდოვას რესპუბლიკის სახელმწიფოს საზღვრების მიმდებარედ და რომელიც ბრუნდება ყოველდღე ან ყოველ კვირა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც ის არის, ან სადაც ის მუდმივად ცხოვრობს.

ზ) „უცხოელი შუამავალი“ (foreign intermediary) ნიშნავს იურიდიულ პირს მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საკუთრების ტიპის მიუხედავად, რომელიც უფლებამოსილია, რომ იყოს შუამავალი და შეარჩიოს უცხოური სამუშაო ძალა (recruit foreign labour force).

თ) „თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (agreement on cooperation) ნიშნავს შეთანხმებას, რომელიც იდება ერთი მხარის დამსაქმებელს ან ავტორიზებულ შუამავალს შორის და მეორე ხელშემკვრელი მხარის დამსაქმებელს ან შუამავალს შორის მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ, რაც დაკავშირებულია შერჩევისა და დასაქმების მომსახურების დებულებებთან. კანონი არეგულირებს როგორც იმიგრანტი მუშის უფლება-მოვალეობებს, ასევე, მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეების (ემიგრანტების) საზღვარგარეთ ლეგალურად დასაქმების საკითხებს, აგრეთვე, იმიგრანტი მუშის შრომითი საქმიანობის უფლების, ცხოვრების უფლების მინიჭების, გაგრძელების, შეწყვეტის და სხვა საკითხებს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კანონი ცალსახად აწესრიგებს იმ ლეგალურ შრომით მიგრაციას, რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს.

კანონის რეგულირების სუბიექტებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც შევიდნენ მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებითი შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად; ფიზიკური და იურიდიულ პირები, მათი საკუთრების ტიპისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად; საჯარო უწყებები; მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც

დროებით იმყოფებიან ემიგრაციაში საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით. კანონს რეგულირების სფეროდან გაჰყავს შემდეგი კატეგორიის პირები:

ა) მოლდოვას რესპუბლიკაში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიისა და საკონსულოების პერსონალი და მათი ოჯახის წევრები;

ბ) უცხოელი კორესპონდენტები და ჟურნალისტები მოლდოვას რესპუბლიკაში;

გ) მსახიობები და კულტურის მუშაკები დროის მცირე პერიოდისთვის (არაუმეტეს 90 დღისა);

დ) თავისუფალი ხელოსნები, მენარდეები, თვითდასაქმებული პირები (freelancers, selfemployed people);

ე) მეზღვაურები;

ვ) პირები, რომლებმაც დატოვეს ერთი ქვეყანა და ჩავიდნენ მეორე ქვეყანაში სწავლებისა და პროფესიული გადამზადების მიზნით;

ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოლდოვას რესპუბლიკაში;

თ) მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ;

ი) სამხედრო მოსამსახურეები და რელიგიური აღმსარებლობების მსახურები (servicemen and employees of religious cults);

კ) პირები, რომელთა მიმართ მოქმედებს დასაქმების სხვა პროცედურები მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლის მხარეცაა მოლდოვას რესპუბლიკა. შრომითი იმიგრაცია მოლდოვას რესპუბლიკაში შესაძლებელია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან/და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვაკანტური ადგილები ვერ ივსება ადგილობრივი საკადრო

რესურსებით. კანონით, ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მიგრანტი მუშების დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გენდერის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიური რწმენის, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნების, ეთნიკურობის ან სოციალური წარმომავლობის, მოქალაქეობის, ასაკის, ქონებრივი, ეკონომიკური მდგომარეობის, ოჯახური სტატუსისა და სხვა მიზეზების მიუხედავად. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მოლდოვაში ჩადიან სამუშაოდ, ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, უფლება აქვთ დასაქმდნენ მხოლოდ ერთი დამსაქმებლის მიერ და დაიკავონ მხოლოდ ის ვაკანტური ადგილი, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამისი დამსაქმებლის მიერ რეგიონალური დასაქმების სააგენტოში (Regional Employment Agency). კანონის თანახმად, დასაქმების პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პირს, რომელიც კვალიფიციური სპეციალისტია ან/და მოწვეულია მთავრობის მიერ საჯარო ადმინისტრაციის ცენტრალური სპეციალიზებული ორგანოებისა და ადგილობრივი საჯარო პირების წინადადებების საფუძველზე (central specialized bodies of the public administration and local public administration authorities). იმისთვის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა დროებით იმუშავონ მოლდოვას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ სჭირდებათ მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის ნებართვა (permit for temporary stay for labour purposes). კანონის თანახმად, იქმნება და ფუნქციონირებს დასაქმების ეროვნული სააგენტო (National Employment Agency), სადაც ინახება ჩანაწერები იმიგრანტი და ემიგრანტი მუშების შესახებ. მუშაობის უფლებას უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს აძლევს დასაქმების ეროვნული სააგენტო მუშაობის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე. პარალელურად, მუშაობის უფლების რეალიზებისთვის, იმიგრანტ მუშას სჭირდება მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება, რომელსაც გასცემს მოლდოვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე. მუშაობის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია. მუშაობის უფლება და

მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება ენიჭება შემდეგ პირებს: იმიგრანტ მუშას, ინდივიდუალურ მუშას (detached worker), სეზონურ მუშას, იმიგრანტ მუშას სპორტის სექტორში, მესაზღვრე მუშას, სხვა კატეგორიას, რომლებიც მითითებულია მოლდოვას რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილ ორმხრივ ხელშეკრულებებში. მუშაობის უფლება და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება არ შეიძლება მიეცეს არასრულწლოვანს და იმ იმიგრანტს, რომელიც სწავლობს მოლდოვას რესპუბლიკის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში. კანონით გათვალისწინებულია მუშაობის უფლების და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების გაგრძელების შესაძლებლობა, თუ შესრულებული და დაცულია უფლებების მინიჭების შესახებ მოთხოვნები. მუშაობის უფლება და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება შეწყდება, თუ გადაწყვეტილება მუშაობის უფლების და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების შესახებ გაუქმდება ან მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის ნებართვის ვადა ამოიწურება. შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია კანონით მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა. უფლებამოსილი საწარმოს (ორგანიზაციის ან ინსტიტუტის) მენეჯერმა ან მისმა წარმომადგენელმა შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს კანონით მოთხოვნილი საბუთების ორ-ორი ეგზემპლარი იმიგრანტი მუშისთვის მუშაობის უფლების და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭებისთვის (გაგრძელებისთვის). დასაქმების ეროვნულმა სააგენტომ 30 დღის განმავლობაში უნდა შეისწავლოს მუშაობის უფლების მინიჭების (გაგრძელების) შესახებ განცხადება და მიიღოს გადაწყვეტილება მუშაობის უფლების მინიჭების (გაგრძელების) უარის თქმის შესახებ. სააგენტომ გადაწყვეტილება უნდა გადაუგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეისწავლოს მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების (გაგრძელების) თაობაზე განცხადება და დასაქმების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების (გაგრძლების) უარის თქმის შესახებ. ინფორმაციული განვითარების მინისტრი (The Ministry of Informational Development) შინაგან

საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე (მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების შესახებ) გასცემს ნებართვას მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოველთვიურად უნდა აცნობოს დასაქმების ეროვნულ სააგენტოს მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების, გაგრძელების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებათა თაობაზე. მოლდოვას რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან/და მოქალაქეობის არმქონე პირების დამსაქმებელს აქვს ვალდებულებები, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული. დამსაქმებელმა ვაკანტური ადგილები უნდა დაარეგისტრიროს დასაქმების რეგიონალურ სააგენტოში (Regional Employment Agency), განათავსოს განცხადება ვაკანტური ადგილის შესახებ გაზეთში და ზუსტად უნდა მიუთითოს კვალიფიკაცია, რომელსაც ითხოვს და ანაზღაურების ოდენობა. თუ 15 დღის განმავლობაში დასაქმების რეგიონალური სააგენტო ვერ გამოავლენს მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიას, დამსაქმებელს აქვს უფლება, მიმართოს დასაქმების ეროვნულ სააგენტოს. იმისთვის, რომ დამსაქმებელმა მოიწვიოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი მოლდოვას რესპუბლიკაში სამუშაოდ, დამსაქმებელს სჭირდება დასაქმების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობის ცნობა (Positive notice). თანხმობის ცნობის მისაღებად დამსაქმებელმა ან მისმა წარმომადგენელმა, რომელიც უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა წარუდგინოს დასაქმების ეროვნულ სააგენტოს შემდეგი დოკუმენტები: მოთხოვნა უცხო ქვეყნის მოქალაქის მოწვევის საჭიროების შესახებ; ვაკანტური ადგილის რეგისტრაცია და ვაკანსიის შესახებ განცხადების ასლი. საწარმოს (ორგანიზაციის ან ინსტიტუტის) დაარსების, შექმნის შესახებ დოკუმენტების ასლები; ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების პროექტი. დასაქმების ეროვნულმა სააგენტომ უნდა შეისწავლოს დამსაქმებლის მოთხოვნა და 30 დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება უარის თქმის ან თანხმობის ცნობის გაცემის შესახებ. უარის შემთხვევაში დასაქმების ეროვნული სააგენტო წერილობით აცნობებს პასუხს აპლიკანტს და მიუთითებს უარის თქმის მიზეზებს. დამსაქმებელმა პოტენციურ იმიგრანტ მუშას მოლდოვაში ჩამოსვლამდე წინასწარ უნდა აცნობოს ანაზღურების

პირობების, სამუშაო და დასვენების საათების, განსახლების საკითხების შესახებ. მუშაობის უფლების და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მისაღებად იმიგრანტი მუშა, დამსაქმებელი ან მისი წარმომადგენელი, წარადგენენ კანონით განსაზღვრულ დოკუმენტებს: — საწარმოს (ორგნიზაციის ან ინსტიტუტის) მოთხოვნას, რომელიც წარედგინა დასაქმების ეროვნულ სააგენტოს მუშაობის უფლების მიღების მიზნით და მოთხოვნას, რომელიც წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის მიზნით, დროებითი ბინადრობის უფლების მისაღებად. — იმიგრანტი მუშის განცხადება-კითხვარს (questionnaire-application); — თანხმობის ცნობის ასლს, რომელიც გაცემულია დასაქმების ეროვნული სააგენტოს მიერ. — დოკუმენტების ასლს საწარმოს (ორგანიზაციის ან ინსტიტუტის) შექმნის, დაარსების, ასევე, საქმიანობის ლიზენცირების შესახებ (თუ ეს საჭიროა). — დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს საწარმოს საქმიანობას (საგადასახადო ინსპექციის ცნობა სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალების არქონის შესახებ, ფინანსური ანგარიშის ასლი ბოლო საანგარიშო პერიოდისთვის, თუ ის აღემატება 3 თვეს); — ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულებას; — უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დამადასტურებელი სათანადო ანაბეჭდის ჩათვლით; — განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც ადასტურებს იმ სპეციალისტის კვალიფიკაციას, რომელიც უნდა იქნეს მოწვეული სამუშაოდ. ეს დოკუმენტი უნდა ითარგმნოს სახელმწიფო ენაზე და დადასტურდეს „უცხო ქვეყნის დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნათა გაუქმების შესახებ კონვენციის თანახმად“ (Convention Abolishing the Requirement of Legalization for Foreign Public Documents); — სამედიცინო ცნობას სათანადო ფორმით და, აგრეთვე, სამედიცინო ცნობას, რომელიც ადასტურებს, რომ პიროვნება HIV/AIDS უარყოფითია; — დოკუმენტს, რომელიც მოწმობს იმიგრანტისთვის საცხოვრებელი ფართის არსებობას მოთხოვნილი პერიოდის განმავლობაში (მესაკუთრის დეკლარაცია, ქირავნობის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება); — 2 ფერად ფოტოს (50×60 მმ) ნათელ და ერთგვაროვან ფონზე; — წარმოშობის ქვეყნიდან ცნობას ნასამართლობის შესახებ (რომელიც უნდა ითარგმნოს მოლდოვას სახელმწიფო ენაზე და

დადასტურდეს აპოსტოლით „უცხო ქვეყნის დოკუმენტების ლეგალიზების მოთხოვნათა გაუქმების შესახებ კონვენციის“ შესაბამისად). კანონით განსაზღვრულია მუშაობის უფლების და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მინიჭების ვადები. ნებართვები უნდა გაიცეს არაუმეტეს ერთი წლის ვადით. ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ახალი ვადით. კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს სპორტის სფეროში: მუშაობის უფლება და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება იმიგრანტ მუშას სპორტის სფეროში მიეცემა დასაქმების ეროვნული სააგენტოს თანხმობის ცნობის გაცემის გარეშე. დამსაქმებელი ვალდებულია გადაიხადოს ტრანსპორტირების ხარჯი იმიგრანტი მუშის წარმოშობის ქვეყანამდე იმ შემთხვევაში, თუ მუშა გარდაიცვალა ან მიიღო საწარმოო ტრავმა (საწარმოო შემთხვევის დროს). კანონით განსაზღვულია შემთხვევები, თუ როდის არ არის აუცილებელი თანხმობის ცნობა მუშაობის უფლების მისაღებად: თანხმობის ცნობის გარეშე, მუშაობის უფლება მიეცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ანდა მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დააფუძნა საწარმო (ორგანიზაცია ან ინსტიტუტი) მოლდოვას რესპუბლიკაში ან ხელმძღვანელობს საწარმოს (ორგანიზაციას ან ინსტიტუტს) რეგისტრირებულს მოლდოვას რესპუბლიკაში. კანონით განსხვავებულად წესრიგდება მუშაობისა და ბინადრობის უფლებების მიცემის საკითხები იმ პირთათვის, რომლებსაც უჭირავთ ხელმძღვანელი პოსტები იმ საწარმოებში, რომლებმაც განახორციელეს ინვესტიციები მოლდოვას რესპუბლიკაში: — 250 ათასი დოლარზე მეტი ოდენობით: შრომის უფლება და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება ეძლევა 5 წლის ვადით გაგრძელების შესაძლებლობის გათვალისწინებით პირადობის მოწმობის მოქმედების ვადის ფარგლებში. — 100 ათასი დოლარზე მეტი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 250 ათასი დოლარისა: უფლება ეძლევა 3 წლის ვადით გაგრძელების შესაძლებლობის გათვალისწინებით. — 10 ათასი დოლარზე მეტი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 100 ათასი დოლარისა: უფლება ეძლევა 2 წლის ვადით გაგრძელების შესაძლებლობის გათვალისწინებით. კანონში ცალკე მუხლი ეთმობა მოლდოვას რესპუბლიკაში „ინდივიდუალური მუშის (detached worker) საკითხებს. ინდივიდუალური მუშის მოსაწვევად, დამსაქმებელმა (საწარმომ, ორგანიზაციამ ან ინსტიტუტმა) მოლდოვას

რესპუბლიკაში უნდა მიიღოს თანხმობის ცნობა დასაქმების ეროვნული სააგენტოსგან. ამისთვის უნდა წარადგინოს კანონით მოთხოვნილი დოკუმენტები, მათ შორის სახელმწიფო ენაზე თარგმნილი შრომის ან მომსახურების ხელშეკრულების ასლი, რომელიც დადებულია მოლდოვას რესპუბლიკის იურიდიულ პირსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირს შორის და გულისხმობს შემდეგ დებულებებს: ა) სამუშაო განხორციელდება ინდივიდუალური მუშების მიერ; ბ) ინდივიდუალური პირობების შესახებ (detachment conditions); გ) ინდივიდუალური მუშის სპეციალობის შესახებ; დ) ინდივიდუალური მუშების რაოდენობის შესახებ; კანონი, ინდივიდუალური მუშის მსგავსად, ცალკე განიხილავს მესაზღვრე და სეზონური მუშების საკითხს. მესაზღვრე და სეზონური მუშებისთვის მოლდოვას რესპუბლიკაში შრომითი იმიგრაციის საკითხები უნდა გადაწყდეს მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის მხარესაც წარმოადგენს მოლდოვას რესპუბლიკა. სეზონურ მუშებს, რომლებიც ჩავიდნენ მოლდოვას რესპუბლიკაში 30 დღეზე მეტი ხნით, უნდა მიეცეთ მუშაობის უფლება და მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლება მოთხოვნილი პერიოდისთვის, თუმცა არაუმეტეს 9 თვისა. კანონი ადგენს კრიტერიუმებს, რომლებიც მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის უფლების მიღების ან ვადის გაგრძელების შესახებ უარის თქმის საფუძვლებია. განმცხადებელს უნდა ეთქვას უარი: — თუ დოკუმენტების შემოწმებისას ნაპოვნი იქნა არასწორი მონაცემები. — თუ სრულყოფილად არ იქნა წარმოდგენილი ყველა ის დოკუმენტი, რაც მოთხოვნილია კანონით. — თუ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტები გაფორმდა მოთხოვნების დარღვევით. — თუ განმცხადებელი არის შეზღუდვის სუბიექტი მოლდოვას რესპუბლიკაში შემოსვლასთან დაკავშირებით. — თუ მოლდოვას რესპუბლიკის იურიდიული პირი ლიკვიდირებულია ან ბანკროტის მდგომარეობაშია. უარის თქმის შემთხვევაში, ნებადართულია ახალი განცხადების წარდგენა არაუადრეს ერთი წლისა იმ დღიდან, როცა მიღებულ იქნა უარის თქმის გადაწყვეტილება. იმიგრანტ მუშას აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. კანონი, ასევე წარმოადგენს მუშაობის უფლების გაუქმების საფუძვლებს. მუშაობის უფლება უქმდება: თუ დასაქმების

ხელშეკრულება წყდება; თუ მიღებულია გადაწყვეტილება მუშაობის მიზნით ბინადრობის ვადის შემცირების შესახებ; თუ სათანადო შემოწმების ან კომპეტენტური ორგანოს მხრიდან ინფორმირების საფუძველზე ცნობილი ხდება, რომ მფლობელი (holder) არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რის ფარგლებშიც გაიცა (გაგრძელდა) მუშაობის უფლება. თუ მოითხოვა მფლობელმა. მუშაობის უფლების გაუქმება წარმოადგენს ბინადრობის შემცირების ან შეწყვეტის საფუძველს. მუშაობის მიზნით დროებითი ბინადრობის ნებართვის დაკარგვა, დაზიანება ან განადგურება უნდა იქნეს გაცხადებული შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნული ფაქტის აღმოჩენიდან 3 დღის განმავლობაში. კანონის მიღების პერიოდისთვის კანონში გათვალისწინებულ იქნა შრომის იმიგრაციის კვოტის საკითხი, რომელთან დაკავშირებით მთავრობა ყოველწლიურად იღებდა გადაწყვეტილებას. თუმცა, მოგვიანებით კანონში ცვლილებები შევიდა და კვოტირების პრინციპი გაუქმდა. კანონი აწესრიგებს მოლდოვას რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებითი დასაქმების საკითხებსაც. მოლდოვას მოქალაქეთა საზღვარგარეთ დასაქმება ხორციელდება მოლდოვადან გამგზავრების წინ დამსაქმებელთან დადებული ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, კერძო დასაქმების სააგენტოების საშუალებით, რომლებსაც აქვთ სათანადო ლიცენზირება ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად. მოლდოვას მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებითი დასაქმებისა და მათი უფლებების დასაცავად, საჭიროა შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ღონისძიებების განხორციელება: — ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების მოქალაქისთვის გადაცემა; — ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების დარეგისტრირება დასაქმების ეროვნულ სააგენტოში. — ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების რეგისტრაცია სოციალური დაზღვევის ეროვნულ სახლში (National House for Social Insurance) და სოციალური დაზღვევის შენატანის გადახდა. — დასაქმების ეროვნული სააგენტოსთვის წერილობითი საბუთის წარდგენა მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა დაცვის კომპეტენტური ორგანოსგან, იმ არასრულწლოვანი ბავშვის რეგისტრაციის შესახებ, რომელიც რჩება ქვეყანაში. კანონი აყალიბებს დებულებებს კერძო სააგენტოების საქმიანობის ფუნქციურ ჩარჩოსთან დაკავშირებით და იმ პროცედურებზე, რომელთა დაცვა

მოეთხოვებათ სააგენტოებს. კანონი ასეთ სააგენტოებს მედიატორების სტატუსს აძლევს. კერძო სააგენტომ უნდა შეარჩიოს და დაასაქმოს სამუშაო ძალა საზღვარგარეთ შრომითი მედიაციის (job mediation) განხორციელებით. შრომითი მედიაციის საქმიანობის განსახორციელებლად კერძო სააგენტომ უნდა მიიღოს სათანადო ლიცენზია. ლიცნეზია გაიცემა სალიცენზიო პალატის (Licensing Chamber) მიერ იმ პირობით, თუ სააგენტო აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: — ფლობს (სარგებლობს) არასაცხოვრებელი ფართით, არის მოქალაქეთა ყველა კატეგორიისთვის ადვილად ხელმისაწვდომი და მისადგომი, არის სათანადოდ გაწყობილი ავეჯით და აღჭურვილია სატელეკომუნიკაციო საშუალებებით (კომპიუტერები, ტელეფონები, ფაქსი და სხვა); — სათნადო ფორმით გამოკრული აქვს ლიცენზია ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დამსაქმებლის უფლებას, რომ იყოს მედიატორი ან დაასაქმოს უცხოელები. — ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს დამსაქმებლებთან, უცხოეთის კომპეტენტური ორგანოების მიერ ავტორიზებულ პირებთან/იურიდიულ პირებთან, სადაც რეალურ ვაკანტურ სამსახურებზე შეთავაზებებია გათვალისწინებული, აგრეთვე, მათთან უკვე შეთანხმებულია ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ჩამოყალიბებულია დასაქმების ქვეყნისა და მოლდოვას რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

7. საქართველოდან ევროკავშირში შრომითი მიგრაციის ხასიათი

7.1 არალეგალური მიგრაციის პრობლემა

ბოლო პერიოდის განმავლობაში მიგრაცია იქნება ეს ლეგალური თუ არალეგალური მნიშვნელოვანი პრობლემა გახდა ბევრი სახელმწიფოსათვის. წლებთან ერთად ქვეყნებს შორის საზღვრები უფრო და უფრო უხილავი ხდება, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში კი თანდათან იზრდება მიგრაციის მოსურნეთა რიცხვი. დღეს არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალსიწინებით კი საქართველოში მეტად მწვავედ დგას არალეგალური მიგრაციის საკითხი.

მიგრაცია რომ საქართველოსათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ადასტურებს 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემები, რომლის მიხედვითაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 600 000 ადამიანით შემცირდა და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,729500 ადამიანს შეადგენს. ამრიგად საქართველოს მოსახლების რიცხოვნობის ასეთი რაოდენობით შემცირების ტენდენცია ლოგიკურად დაკავშირებულია თანამედროვე მიგრაციულ პროცესებთან.

მიგრაციის ხელშემწყობი ფაქტორი შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს მათ შორის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და ა.შ თუმცა დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით, საქართველოდან უკანონოდ ემიგრირებული მოსახლეობის მიგრაცის საფუძველია მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ან ცხოვრობენ უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში იძულებულები ხდებიან უკანონოდ შევიდნენ სხვა განვითარებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა თავი იხსნან შიმშილისაგან. ,,გაჭირვება საზღვარგარეთ თუ შიმშილი სამშობლოში?'' ეს არის კითხვა, რომელზედაც

პასუხს ეძებს საქართველოდან არალეგალურად მიგრირებულ მოქალქეთა და ტრეფიკინგის მსხვეპლთა უმრავლესობა.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს თავად მიგრაციის ფაქტორი, რაც როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულია და ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული. დღეს არსებული წარმოდგენებით მიგრაციის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი, ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან და რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, ლეგალური თუ არალეგალური მიგრაციის დეტერმინანტია ადამიანის ბუნება, ეძიოს უკეთესი.

რა თქმა უნდა ეჭვგარეშეა, რომ არალეგალური მიგრაცია უფრო მეტად პოპულარულია საზოგადოებაში (მათ შორის ქართულ საზოგადოებაში) ვიდრე ლეგალური, ამ ფაქტს თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ლეგალური მიგრაციის შემთხვევაში აუცილებელია სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცესების მოგვარება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს, სავიზო პროცედურებს, დაზღვევას და ა.შ მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი, მკლევარი, ხალიდ ქოზერი თავის წიგნში, ,,საერთაშორისო მიგრაცია'' აღნიშნავს, რომ არალეგალური მიგრაციის პოპულარობა, ლეგალური მიგრაციისათვის აუცილებელი ბიუროკრატიული მექანიზმების სირთულით აიხსნება.

არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების კონკრეტიზებისათვის უნდა განვმარტოთ, რომ უკანონო მიგრაცია მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან და მრავალფეროვან კომპონენტს მათ შორისაა:

არალეგალი მიგრანტი ანუ ადამიანი, რომელიც შედის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაბამისი პროცედურების დარღვევით, რა დროსაც ასევე ირღვევა სახელმწიფო სუვერენიტეტი, ვინაიდან სუვერენიტეტი განიმარტება, როგორც სახელმწიფოს უზენაესობა თავის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში, ხოლო

არალეგალური მიგრაციის შემთხვევაში სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთა ხდება ნებართვის გარეშე.

არალეგალი მიგრანტები, რომლებიც შედიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ე.წ გაყალბებული საბუთებით.

არალეგალი მიგრანტები, რომლებიც მიემგზავრებიან მასპინძელ ქვეყანაში ლეგალურად, მაგრამ რჩებიან ვიზის დამთავრების შემდგომაც უნებართვოდ. ფიქტიური ქორწინებები, ფიქტიური შვიალდ აყვანა და ა.შ

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, საქართველოს მოქალაქეებისათვის არალეგალური მიგრაციის გზები იგივეა, თუმც მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ერთმანეთისაგან განსხვავდება მიგრაციის მაიძულებელი ფაქტორები. (Stay Away Factors) შესაძლოა იყოს : დისკრიმინაცია, დაბალი სოციალური სტატუსი, უმუშევრობა, დაბალი ხელფასი, პოლიტიკური უფლებების ნაკლებობა, ნაცნობების არარსებობა, ომი, კრიმინალი. დღეს არსებული საშუალო სტატისტიკური მდგომარეობით საქართველოს მოქალაქეები მიგრაციას ნაკლებად მიმართვაენ დისკრიმინაციის ან პოლიტკური უფლებების ნაკლებობის მოტივით, ძირითადად სოციალური ფაქტორები ჭარბობს. ამავე საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრება აქვს, მაგალითისათვის ინგლისელი ეკონომისტი და მკვლევარი რავენშტაინი (1889) ასახელებს მიგრაციის შვიდ კანონს, რომელთაგანაც ქართული რეალობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეშვიდე და პირველი კანონები. კერძოდ, პირველი კანონის თანახამდ მიგრანტთა უმრავლესობა მიდის მხოლოდ მოკლე მანძილზე და როგორც წესი დიდ ქალაქში, სწორედ ამით შესაძლებელია ავხსნათ ევროპაში საქართველოს მოქალქეების მიგრირების დიდი მასშტაბები, რადგან ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე უფრო ადვილია ევროპაში მიგრირება ვინემ მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკაში. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მთლიანად საერთაშორისო მიგრანტთა 75% გადაადგილდება უფრო მაღალი HDI ქვეყნებში, ხოლო გარე მიგრანტების 50 % მიემართება მეზობელ რეგიონში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია

ვივარაუდოთ, რომ საქართველოდან ევროპაში მოსახლეობის ასეთი მასშტაბით მიგრაციის საფუძველი არის ეკონომიკური ფაქტორი, გეოგრაფიული მდებარეობა და სახელმწიფოს განვითარების მაჩვენებელი.

პ.ს ეჭვგარეშეა, რომ ევროკავშირის ყველა სახელმწიფო გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით.

ზემოაღნიშნული სწავლების მეშვიდე კანონის მიხედვით, ქალები უფრო ექვემდებარებიან მიგრაციას ვიდრე მამაკაცები. ეს უკანასკნელი განვითარებულ ქვეყნებში არსებული ტენდეციებით აიხსნება, კერძოდ, იკვეთება გენდერ-შერჩევითი (Gender-Selective) დამოკიდებულება, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთელი რიგი სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა მხოლოდ ქალებს ეძლევათ. მითითებულ სამუშაოებს შორისაა, მომსახურება, ჯანრთელობის დაცვა და გასართობი ბიზნესი. მეტი სიცხადისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებისაკენ მიგრირებული ქალების რიცხვი მეტწილად აღემატება მამაკაცების რიცხვს, ქართველ ემიგრანტ ქალებისათვის ე.წ პოპულარული დანიშნულების ქვეყნები იტალია და საბერძნეთი არიან.

კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიგრაცია (ლეგალური, არალეგალური) დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესთან, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ არალეგალურ მიგრაციას იგი რამდენიმე ფაქტორით აიხსნება:

ლეგალური მიგრაცია მოითხოვს გარკვეული ფინანსური ხარჯის გაღებას, მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის კი ასეთი დანახარჯების გაღება ფაქტობრივად შეუძლებელია;

ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებთან დაკავშირებით არსებული ონფორმაციის სიმწირე;

არალეგალური მიგრაციის უარყოფითი ფაქტორების უგულებელყოფა. საქართველოში ეკონომიკური განვითარების დონის არცთუ ისე შესაშურ მდომარეობაზე მეტყველებს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, რომლის თანამხმადაც, 2004 წლის იანვრის მდგომარეობით საარსებო მინიმუმი მაგალითად ექვსულიანი ოჯახისათვის იყო 194 (ას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი, ამავე პერიოდში საშუალო თვიურ ხელფასად ფიქსირდება 156 (ას ორმოცდათექვსმეტი) ლარი.2 ასეთი სტატისტიკა მოწმობს იმას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ემიგრაცია წარმოადგენდა შიმშილისაგან ხსნის ერთადერთ საშუალებას, სწორედ ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არის საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებისკენ უკანონო მიგრაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

არალეგალური მიგრაციის ორი ძირითადი გზა არსებობს, რომელსაც, არსებული კვლევების მიხედვით საკმაოდ ხშირად მიმართვაენ საქართველოს მოქალაქეებიც, ესენია: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ადამიანის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა (Migrant Smuggling), თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება და პოლიტოლოგ-ექპერტები თანმხდებიან, რომ ეს უკანასკნელი უკვე იქცა ბიზნეის ერთ- ერთ წყაროდ.

მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორმა ხალიდ ქოზერმა 2004 წელს ავღანეთსა და პაკისტანში ჩაატარა კვლევა, რომელიც ეხებოდა ჩემ მიერ ზემოთხსენებული ,,ბიზნესის'' კონცეპტუალურ იდეას, რომლის თანახმადაც, მიგრანტების საზღვარზე უკანონოდ გადამყვან პირებს აქვთ კარგად შემუშავებული გეგმა, ზუსტად განაწილებული დრო, სამუშაოები და ასევე მკაცრად შემუშავებული გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მათთვის ფულის გადაცემა უნდა მოხდეს ეტაპობრივად სადეპოზიტო ანგარიშების საშულებით. როგორც წინამდგებარე ნაშრომიდან ირკვევა ეს მეთოდოლოგია და საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის სტანდარტები ემყარება წარსულ გამოცდილებას და მათი მომხმარებლების მოთხოვნებს. (ტერმინოლოგიურად - migrant smuggling as a business).

ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების უკანონო მიგრაციის საფუძველი შესაძლოა კულტურულ მსგავსებებშიც ვეძებოთ. ვინადან და რადგანაც საქართველო ევროპული საზოგადოების ნაწილად მოიაზრება, კულტურული შეთავსებადობის მაჩვენებელიც უფრო მაღალია, ამიტომ ხშირად არ წარმოიშვება იდეოლოგიური

დაპირისპირება, კულტურული შეუთავსებლობა და რელიგიური შეუწყნარებლობა. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა გამოირჩევა თავისი ტოლერანტული ბუნებით, რაც მიგრაციის თვალსაზრისით მხოლოდ დადებითი ეფექტის მატარებელი შესაძლოა იყოს.

ნაშრომში უკვე რამდენჯერმე ვახსენე უკანონო მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, ახლა კი მსურს უშუალოდ შევეხო არალეგალური მიგრაციის შედეგებს.

თუ დავეყრდნობით დღეისათვის განხორციელებულ კვლევებს, რომელსაც პერიოდულად აქვეყნებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, აღმოვაჩენთ რომ არალეგალური მიგრაციის კუთხით სტატისტიკა არცთუ ისე სახარბიელოა. საქართველოს მოქალაქეები ხშირად ხდებიან ადამიანთა ვაჭრობის, ტრეფიკინგის მსხვეპლნი. ეს უკანასკნელი განიხილება როგორც მონობის თანამედროვე ფორმა, რომელშიც ადამიანების ჩათრევა მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან იძულების სხვა ფორმებით ხდება. ტრეფიკინგი, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის საფრთხეს წარმოადგენს ეს კარგადაა ასახული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის მონაცემებში, რომლის მიხედვითაც, 2005 წლიდან 2015 წლამდე აღნიშნული დანაშაულის რიცხვი ცვალბადობით ხასიათდება, თუმც ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვმა განსაკუთრებით მოიმატა 2006-2007 წლებში რა დროსაც ტრეფიკინგით დაზარალებული ქართველების საშუალო მაჩვენებელმა 30 ადამიანი (2006წ) , 29 ადამიანი (2007წ) შეადგინა. რაც შეეხება ბოლო მონაცემებს, 2015 წლის მდგომარეობით ტრეფიკინგს 18 ადამიანი ემსხვეპლა.

ადამიანთა ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა სექსულური ექსპლუტაციის მიზნით, იძულებითი შრომა
- ადამიანის სხეულით ვაჭრობა

როგორც წესი დღეს არსებული გამოკითხვებით დგინდება, რომ ქართველთა უმეტესობა საზღვარგარეთ სექსუალური ან შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლია. ევროკავშირის

ქვეყნებში არალეგალურად ცხოვრება უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული. შესაბამისი საბუთების არქონის გამო რთულია სამსახურის მოძებნა, საცხოვრებელი ბინის დაქირავება, განათლების მიღება და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა. როგორც წესი არალეგალური მიგრანტების საცხოვრებელი პირობები სავალალოა ხშირად მათთვის შეუძლებელია ნორმალური ბინის დაქირავება ხოლო ისინი, ვინც მზად არიან უზრუნველყონ არალეგალი მიგრანტები საცხოვრებლით, ძირითადად სთავაზობენ საშიშ ადგილებს არადამაკმაყოფილებელი პირობებითა და დაუცველობის დიდი რისკით, ამრიგად შედეგი შესაძლოა იყოს სავალალო!

საბოლოო ჯამში, წარმოდგენილი ინფორმაციის თვალსაწიერში მიღებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არალეგალური მიგრაციის მაპროვოცირებელი ფაქტორი სხვადასხვა სახელმწიფოსათვის მოსახლეობის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომიდნარე განსხვავებულია. საქართველოს შემთხვევაში არალეგალური მიგრაცია განპირობებულია ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლის დაბალი დონით, როდესაც შესაძლებელია დასაქმებულის საშუალო ანაზღაურება დადგენილ საარსებო მინიმუმზე უფრო დაბალი აღმოჩნდეს, ბუნებრივია, შიმშილისაგან თავის ხსნის საშუალებად ხშირად უკანონო მიგრაცია გვევლინება. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, რადგან ევროპის სახელმწიფოები თავიანთი ეკონომიკური პოტენციალით წარმატებულ ქვეყნებად მიიჩნევიან, კულტურული შეთავსებადობის მაღალი პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებითაც ევროპაში უკანონო მიგრაცია პოტენციური არალეგალი მირანტისათვის უფრო მიმზდიველად ჟღერს.

აღნიშნული პროცესების გამოსასწორებლად ევროკავშირსა და საქართველოს შორის არაერთი შეთანხმება დაიდო და აქტიურად დაიწყო რეგულაციების შემოღება სიტუ8აციის გამოსასწორებლად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული მონაცემებით იმიგრანტა რიცხოვნობა 2013-2018 წლებში ასე გამოიყურება: 2013-92458; 2014-82161; 2015-92557; 2016-90228; 2017-83239; 2018-88152



ზუსტად ცნობილი არ არის, როგორია საქართველოდან შრომითი მიგრაციის მოცულობა, მაგრამ მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის შედარებით დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2010 წლისთვის ქართველი ემიგრანტების რიცხვი 1.057.000-ს აღწევდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყოველი მეოთხე მოქალაქე საზღვარგარეთ ცხოვრობს. დადგენილია, რომ საზღვარგარეთიდან შემოსულმა ფულადი გზავნილების მთლიანმა ოდენობამ 2010 წელს 824 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ოდნავ ჩამორჩება იმავე წელს საქართველოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დახმარებას განვითარებისთვის. 2012 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით კი, 2011 წელს საქართველოს 350-იდან 350 ათასამდე მოქალაქე საზღვარგარეთ იყო დასაქმებული რაცქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 8-იდან 11-ამდე პროცენტს შეადგენს. დანიშნულების ძირითადი ქვეყნებია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრები:რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და სომხეთი (რომლებზეც ქართველი ემიგრანტების სამი მეოთხედი მოდიოდა). რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, ქართველი მიგრანტები, ძირითადად, საბერძნეთს (62.000), გერმანიას (17.000) და კვიპროსს (10.000) ირჩევენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ 2008

წლის აგვისტოს ომის შედეგად რუსეთთან მიმოსვლის შეზღუდვის ნიადაგზე შეინიშნება სხვა მიმართულებით მიგრანტების გადანაცვლების ტენდენცია.

7.2 ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ შეთანხმება საქართველოსთან

2009 წლის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობა მობილურობის შესახებ ერთობლივი დეკლარაცია“ ევროკავშირის პროექტის საფუძველია, რომლის ფარგლებშიც ცირკულარული მიგრაციის საცდელი სქემა შემუშავდა და განხორციელდა. ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისთვის“ ევროკავშირსა და მის პარტნიორებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც ერთობლივ პასუხისმგებლობებსა და მობილურობის, მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხების შესახებ პროექტის ინიციატივებს ეხება მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის (GAMM) ფარგლებში.

2009 წლის ევროკავშირი-საქართველოს „პარტნიორობა მობილურობისთვის“ არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის წახალისებას ითვალისწინებს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობის გზით. აღნიშნული საკითხები მოიცავს შრომით მიგრაციას, რეადმისიას, რეინტეგრაციას, დიასპორასთან თანამშრომლობას, დოკუმენტების უსაფრთხოებას და პროფესიული კვალიფიკაციების ურთიერთაღიარებას. PCMS-ის შემუშავებისთვის განსაკუთრებით რელევანტურია დეკლარაციის გაცხადებული მიზანი - „ლეგალური მობილურობისთვის უფრო ხელსაყრელი ჩარჩოს შექმნა, მათ შორის ცირკულარული და დროებითი მიგრაციის სქემების მეშვეობით“, განსაკუთრებით, განვითარების მიზნებისთვის.

დასკვნა

ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობას გააჩნია ასეთი ხარვეზი, რომ დასაქმების დროს პრიორიტეტი ენიჭება ქვეყნის მოქალაქეს იმ უცხოელ მოქალაქესთან შედარებით, რომელიც კანონიერად ცხოვრობს ქვეყანაში. გარდა ამისა ბევრი სახელმწიფო აწესებს შეზღუდვას მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მუშაობაზე სახელმწიფო სამსახურში.

ევროკავშირის მასშტაბით აშკარად გამოიკვეთა სურვილი და მზადყოფნა შრომითი მიგრაციის უკეთესი მართვის განხორციელებისათვის. მაგრამ პრობლემაა ის, რომ წევრი სახელმწიფოებისთვის ეს საკმაოდ მტკივნეული საკითხია და ამჯობინებენ დამოუკიდებლად მიუდგნენ მისი მოგვარების მექანიზმს. ყოველივე ეს კი ართულებს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას. ახალი წევრი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართული მიგრაციის მართვის საკითხებში, რადგანაც ისინიც უკვე ევროკავშირის ტერიტორიას წარმოადგენენ, თუმცა მათზე დატვირთვა ნაკლებია რადგან, თვითონ ამ ახალი წევრების მოქალაქეებიც მიემართებიან სხვა წევრ ქვეყნებში და საბოლოოდ მთელი დატვირთვა ძველ წევრ სახელმწიფოებზეა. სწორედ ამიტომ 2008 წელს უკვე აშკარად გამოიკვეთა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება ევროკავშირის ლიდერი ქვეყნების მხრიდან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროცედურები დასაქმების მსურველებისათვის საკმაოდ დიდი სირთულეა. ნებართვების მიღება დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ არალეგალური მიგრაცია დიდი მასშტაბებითაა ევროკავშირში.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია წარმოადგენს ტრანსნაციონალურ ფენომენს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მისი მართვა მხოლოდ ეროვნულ დონეზე. პროცესი ორმხრივ მიდგომას საჭიროებს – რეგიონალურს და საერთაშორისოს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შესწევს უნარი დააკავშიროს წარმომავლობის და დანიშნულების ქვეყნების დაინტერესებული პირები, რათა მათ ერთად განახორციელონ მიგრაციასთან დაკავშირებული პროექტები და მოახდინონ განსხვავებული ინტერესების დაბალანსება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზუბიაშვილი თ., საერთაშორისო შრომითი მიგრაცია, ლექციების კურსი, თბ., 2018
2. https://gyla.ge/files/news/5.%20GEO_research%20on%20circular%20migration.pdf
3. http://www.migration.commission.ge/index.php?article_id=321&clang=0
4. john salt, james Clarke, philippe wanner-"International labour migration" –(directorate general III-social cohesion. Council of Europe publishing, july 2004, printed of the council of europe)
5. http://bit.ly/2kh94Qp
6.
7. cornell university ILR school 2014- "labour migration in the eu: recent trends and policis"
8. https://www.iom.int/labour-migration
9. alex balch department of politics, university of Sheffield. January 2010-managing labour "migration in Europe: ideas knowledge and policy change."
10. https://www.consilium.europa.eu/en/policies/migratory-pressures/
11. European union, 2011- "migrants in Europe. A statistical portrait of the first and second generation
12. https://migrationdataportal.org/themes/labour-migration
13. P. de lima, S. Bernabe, R.L Bubico, S. Leonardo, C. Weiss. Report of EIB Economics Department march 2016- "migration and the EU challenges, opportunities, the role of EIB"
14. https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Migration_and_migrant_population_statistics
15. A UNISON discussion paper- International labour migration
16. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia
17. Brussels, 17 june 2008- "a common immigration policy for Europe"
18. Global commission on international migration. October 2004-"global migration perspectives"

19. http://migration.commission.ge/files/pcms_geo_final.pdf

20. Eurostat

21. John Salt, January 2005- “international migration in Europe”

22. Geostat

23. https://ec.europa.eu/eurostat/data/statistics-a-z/klmn